პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 14 მარტი, 1947 წ. № 54 (7838). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის (1-ლი გვერდი).
ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის ტვირთზიდვის გეგმის ვადამდე — 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად (1-ლი გვერდი).
დ. ამირანიძე — ტყიბულელი ბოლშევიკები ამხელენ მეშახტეთა მუშაობის ნაკლოვანებებს (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება: ა. ნინუა — როცა ხელმძღვანელობა გაუმჯობესდა (მე-2 გვერდი).
ბულგარეთის მთავრობის მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსადმი (მე-2 გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში (მე-3 და მე-4 გვერდი).

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი უდიდესი აზვირთება გამოიწვია. მთელი კოლმეურნე გლეხობა ირაზმება საბრძოლველად სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, რაც შესაძლებელს გახდის, რომ უმოკლეს ვადაში შევქმნათ სურსათის სიუხვე ჩვენი მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის და დავაგროვოთ საჭირო სახელმწიფო სასურსათო და ნედლეული რესურსები.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლის წარმატება ახლა დამოკიდებულია პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებზე, რომლებიც მოწოდებული არიან უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობას. პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, მათი საზოგადოებრივი საკუთრების ზრდისათვის მნიშვნელოვანწილად ეკისრებათ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი უნდა იდგნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვის სადარაჯოზე, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების სადარაჯოზე. სოფლის კომუნისტებს მოეთხოვებათ, რომ ისინი გაიმსჭვალონ პასუხისმგებლობის შეგნებით სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის და თავისი საქმიანობის თვითეული ნაბიჯი დაუმორჩილონ პარტიის მიერ საკოლმეურნეო სოფლის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების ინტერესებს.

სოფლად პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი ახლა უფრო მეტია, ვიდრე ომამდე იყო. თუ 1941 წლის 1 იანვრისათვის სოფლად იყო 82.956 პირველადი პარტორგანიზაცია, აქედან 29.723 საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია, ახლა სოფლად არის 139.434 პირველადი პარტორგანიზაცია, აქედან კოლმეურნეობებში — 61.211. სოფლის კომუნისტთა რიცხვმა 1.714 ათასს მიაღწია. ეს უდიდესი ძალაა, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს დიდი როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიული ძალები სოფლად სწორად იყოს განაწილებული. კომუნისტთა ძირითადი მასა უნდა მუშაობდეს უშუალოდ კოლმეურნეობებში. იქ, სადაც ამის პირობებია, გაბედულად უნდა დავაწვრილერთეულოთ სოფლის ტერიტორიული პარტორგანიზაციები და კოლმეურნეობებში შევქმნათ პირველადი პარტორგანიზაციები. საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების შესაბამისად, იმ კოლმეურნეობებში, სადაც პარტიის სამ წევრზე ნაკლებია, უნდა შეიქმნას საკანდიდატო ან პარტიულ-კომკავშირული ჯგუფები. ეს შესაძლებლობას მოგვცემს პარტიული ძალების სწორად განაწილებით და მათი მოხერხებული მანევრირებით რაიონის შიგნით ბევრად გავზარდოთ საკანდიდატო და პარტიულ-კომკავშირული ჯგუფების რიცხვი. ხოლო თუნდაც მცირერიცხოვანი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების შექმნა, არა თუ არ შეასუსტებს სოფლად პარტიულ მუშაობას, როგორც ამაზე ბევრი რაიკომი შიშობს, არამედ, პირიქით, გააძლიერებს მას, მისცემს უფრო ფართო გაქანებას. ამიტომ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს კურსკის ოლქის პარტიის სოვეტსკის რაიკომის მუშაობის პრაქტიკა, რომელიც აფერხებს კოლმეურნეობებში პარტიული ორგანიზაციების შექმნას. სოვეტსკის რაიონში 703 კომუნისტია. ამავე დროს არსებულ 10 საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში პარტიის მხოლოდ 58 წევრი და კანდიდატი ითვლება. შეიძლებოდა შეგვექმნა პირველადი პარტიული ორგანიზაციები კიდევ რამდენიმე კოლმეურნეობაში. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო არტელ „კულტურნაია რევოლუციაში“ პარტიის 4 წევრია, მაგრამ ისინი აღრიცხული არიან ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში. მხოლოდ ზედმეტი მუშაობის შიშით, რაც დაკავშირებულია ახალი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების შექმნასთან, შეიძლება აიხსნას სოვეტსკის რაიკომის ასეთი დამოკიდებულება ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან დღითიდღე აამაღლონ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, უკეთ უხელმძღვანელონ მათ, დარაზმონ ისინი კოლმეურნეობათა განმტკიცების საბრძოლო, გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოითხოვა „რომ რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად დადიოდნენ კოლმეურნეობებში და პირადად ატარებდნენ პოლიტიკურ და საორგანიზაციო-პარტიულ მუშაობას, ატარებდნენ საუბრებსა და კოლმეურნეთა კრებებს, აწესრიგებდნენ პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობას პირველად პარტორგანიზაციებში“.

ფაქტები მოწმობენ, რომ იქ, სადაც საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები ჯეროვნად მუშაობენ არტელის საქმეებზე, უნარიანად ახორციელებენ არტელის გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, იქ კოლმეურნეობებში საქმე კარგად მიდის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გორკის ოლქის ტიმირიაზევის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაცია, რომლის გამოცდილების შესახებ ამ დღეებში დაბეჭდილი იყო წერილი „პრავდაში“. ამ კოლმეურნეობის წარმატებანი მეტწილად აიხსნება იმით, რომ პარტორგანიზაცია ღრმად სწვდება საკოლმეურნეო წარმოების ყველა წვრილმანს, ყოველდღიურ დახმარებას უწევს არტელის გამგეობას. მთელ თავის საქმიანობაში კომუნისტები ეყრდნობიან ფართო საკოლმეურნეო აქტივს, ეწევიან შეუპოვარ და სისტემატურ პოლიტიკურ მუშაობას კოლმეურნეთა შორის.

მაგრამ ყველა საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია როდი მუშაობს ჯეროვნად საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხებზე და როდი იყენებს საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებით მისთვის მინიჭებულ უფლებას კონტროლი გაუწიოს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობას. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ზერელედ ეკიდება არტელის საქმეებს, შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას კოლმეურნეთა შორის. კონტროლი ხშირად იმით გამოიხატება, რომ პარტიული კრება ისმენს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოხსენებას მიმდინარე საქმეებზე და იღებს ზოგად, არაკონკრეტულ, არავისათვის არაფრის დამაკისრებელ გადაწყვეტილებას. იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა კომუნისტები იმის ნაცვლად, რომ საკოლმეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს უბნებზე იყვნენ, ეწყობიან ადმინისტრაციულ-სამომსახურეო ხასიათის მეორეხარისხოვან სამუშაოზე.

უნდა ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი კოლმეურნეობებში. სოფლის კომუნისტი მოვალეა ახსოვდეს, რომ იგი არის პარტიის საქმისათვის მებრძოლი სოფლად, კოლმეურნეთა მასების წინამძღოლი. მისი ადგილი საარტელო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზეა: მემინდვრეობის ბრიგადასა ან რგოლში, მეცხოველეობის ფერმაში. იგი მოწოდებულია პირადი მაგალითით აღაფრთოვანოს კოლმეურნეები შრომითი გმირობისათვის. იგი მოვალეა ეძიოს და გამონახოს ახალ-ახალი რეზერვი არტელის საზოგადოებრივი საკუთრების გაზრდისათვის, კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. საჭიროა, რომ კომუნისტები კოლმეურნეობებში სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე აგროტექნიკის ფართოდ დანერგვისათვის, შრომის სწორი ორგანიზაციისა და ანაზღაურებისათვის ბრძოლას.

ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები თავს გაართმევენ მხოლოდ იმ პირობით, თუ თავის გარშემო შემოიკრებენ მრავალრიცხოვან საკოლმეურნეო აქტივს, ყოველდღიურად აღზრდიან და დაეყრდნობიან მას. რამდენი შესანიშნავი ადამიანია ახლა საკოლმეურნეო სოფელში! თვითეულ კოლმეურნეობაში არიან მაღალი მოსავლის ოსტატები, გამოცდილი ბრიგადირები, მერგოლურები, მეცხოველეები. ამ ძალების ნამდვილად გამოყენება ნიშნავს მასებთან პარტორგანიზაციის კავშირის განმტკიცებას, არტელის საქმეებზე მისი გავლენის გაძლიერებას. საჭიროა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია და მტკიცედ დანერგვა, ჩამორჩენილთა წამოწევა მოწინავეთა დონემდე. კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეთა შორის.

საგაზაფხულო თესვა, რომელსაც იწყებს ჩვენი ქვეყანა, სერიოზული გამოცდაა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებისათვის, სოფლის ყველა კომუნისტისა და კომკავშირელისათვის. საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების წარმატებით ჩატარებისაგან მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ და კიდევ უნდა შეამოწმონ კოლმეურნეობათა მზადყოფნა თესვისათვის, ოპერატიულად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი.

ეჭვი არ არის, სოფლის კომუნისტები ამ ამოცანებს ღირსეულად გაართმევენ თავს.

„პრავდის“ 13/III მოწინავე

მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის

მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა საქართველოს სსრ კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

სასიხარულო დღეებს განიცდის ჩვენი დიადი სამშობლო. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში გულდასმით სწავლობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“. მშრომელებმა აღნიშნული დადგენილება მიიღეს როგორც საბრძოლო პროგრამა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საკოლმეურნეო სოფელი ამ დოკუმენტში ხედავს პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის განუწყვეტელ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის.

ბოლშევიკურმა პარტიამ დიდი ამოცანები დაგვისახა სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში. ჩვენი მოვალეობაა მკვეთრად გავადიდოთ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციათა მოსავლიანობა. უკვე 1948 წელს უნდა გადავაჭარბოთ ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის ომამდელ დონეს. ციტრუსოვანი კულტურების ფართობი მიმდინარე წელს გადიდდება 20,8 ათას ჰექტარამდე, ხოლო ჩაისა — 55,6 ათას ჰექტარამდე. 1949 წელს კი ციტრუსების ფართობმა 27,5 ათას ჰექტარს უნდა მიაღწიოს, ჩაის პლანტაციებისამ—60 ათას ჰექტარს. ამასთან ერთად სერიოზული მუშაობა გვმართებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში.

ჩვენ გაგვახარა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ 1950 წლიდან კვლავ განახლდება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობა 1947 წლიდან მოპოვებული მიღწევების მიხედვით. ამოცანა ის არის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, სოფლის მეურნეობის თვითეულმა მუშაკმა იმუშაოს ძალების დაუზოგავად, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ **მოიპოვოს გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.**

ჩვენმა კოლმეურნეობამ შარშან, სტალინური ხუთწლედის პირველ წელს, თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა, ვადამდე და გადაჭარბებით შესრულა ყველა სახელმწიფო დავალება, სამშობლოს მისცა ნახევარ მილიონამდე ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, აქედან 100.000 ცალი ლიმონი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 42.000 ცალისა, ამასთან კოლმეურნეობამ გამოიყვანა ციტრუსების 13.800 ძირი სტანდარტული ნერგი, დაამყნო 40.000-მდე ძირი ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი, ახალი პლანტაციის გასაშენებლად მოამზადა 7,5 ჰექტარი მიწა.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 185 ტონა ჩაის ფოთოლი, აქედან 42 ტონა პირველი ხარისხის ჩაი ჩაბარებულია გეგმის გადამეტებით. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სოიის, ტუნგოს, რძის პროდუქტების ჩაბარების, პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმები.

კოლმეურნეობის შემოსავალი აყვანილია 3 მილიონ მანეთამდე. შრომადღეზე დიდი რაოდენობით არის განაწილებული მარცვლეული, თაფლი, ფული. მარტო პრემია-წანამატის სახით კოლმეურნეებს 76.000 მანეთი მიეცათ. კოლმეურნეობის ბევრ სტახანოველს 500-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული. მაგალითად, ი. ცერცვაძემ გამოიმუშავა 523 შრომადღე, ვ. ტოტოჩავამ—518, ვ. ღლონტმა—530 შრომადღე.

ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად მთელ საბჭოთა კავშირში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება 1947 წლის საწარმოო დავალებების ვადამდე—7 ნოემბრისათვის,—დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეათე წლისთავისათვის შესასრულებლად. მუშებთან ერთად ჩვენ, კოლმეურნეებიც ჩავებით შეჯიბრებაში და ენერგიულად ვმუშაობთ. კოლმეურნეობაში მიმდინარე წლისათვის როგორც ზამთრის, ისე ადრე გაზაფხულის ყველა სამუშაო ვადამდე და მაღალხარისხოვნად არის შესრულებული. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

ჩაის დარგში—სანიმუშოდ მოვაწყოთ პლანტაციების მოვლა და დამუშავება, მივაღწიოთ მოსავლიანობის გადიდებას შარშანდელთან შედარებით სულ მცირე 50 პროცენტით. ამასთან გაზაფხულზევე გავაშენოთ 4 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, 0,5 კილომეტრზე ქარსაფარი ზოლი, მთლიანად შემოვავლოთ პლანტაციას ცოცხალი ღობე;

ციტრუსების დარგში—მიმდინარე წლის გაზაფხულზე გავაშენოთ 7,5 ჰექტარი ახალი პლანტაცია, შემოდგომისათვის კი ამავე მიზნით მოვამზადოთ 2 ჰექტარი პლანტაჟი; წელს ქვეყანას მივცეთ შარშანდელზე 2,5-ჯერ მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, გამოვიყვანოთ 30.000 ძირი სტანდარტული ნამყენი, 45.000 ძირი ტრიფოლიატი; 1,5 კილომეტრზე გავაშენოთ ქარსაფარი მცენარეები, 0,7 კილომეტრზე ცოცხალი ღობე;

ტუნგოს დარგში—გავაშენოთ 7,5 ჰექტარი პლანტაცია; გარდამეტი 9.000 ძირი ნერგი გავუნაწილოთ რაიონის კოლმეურნეობებს; დამატებით გამოვიყვანოთ 5.000 ძირი ტუნგო; სახელმწიფოს ჩავაბაროთ შარშანდელზე 20 ტონით მეტი ნაყოფი, სულ 60 ტონა;

მარცვლეული კულტურების დარგში—გაზაფხულზე დავთესოთ 230 ჰექტარი სიმინდი და ლობიო, შარშანდელთან შედარებით სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე გავადიდოთ 3 ცენტნერით, დავთესოთ 100 ჰექტარი სოია (შეთესვით) და მოვიყვანოთ ჰექტარზე შარშანდელზე 2 ცენტნერით მეტი მარცვლეული;

მებოსტნეობის დარგში—წელს ნათესი ფართობი გავადიდოთ 50 პროცენტით. ამდენივე პროცენტით გავზარდოთ მოსავლიანობაც. მივიღოთ 150.000 მანეთი შემოსავალი;

მეცხოველეობაში—მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი. მოვსპოთ ბერწიანობა. გავზარდოთ წველადობა 30 პროცენტით. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გავადიდოთ 50 პროცენტით, ღორისა—150 პროცენტით, ფრინველისა—200 პროცენტით. მეფუტკრეობაში დამატებით მოვაშენოთ 10 სკა და ოჯახთა რიცხვი ავიყვანოთ 60-მდე. მივიღოთ სულ მცირე 30 ფუთი თაფლი;

მეაბრეშუმეობაში—გამოვკვებოთ 150 კოლოფი ჭია. სახელმწიფოს მივცეთ გეგმაზე 40 პროცენტით მეტი პარკი. გავაშენოთ 0,5 ჰექტარი თუთის პლანტაცია.

პირობას ვიძლევით, რომ წლიურ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას ძირითადად უზრუნველვყოფთ 7 ნოემბრისათვის, ფულად შემოსავალს ავიყვანთ 4 მილიონ მანეთამდე, შრომადღეზე გავცემთ 3 კილოგრამ მარცვლეულს, ბევრ სხვა პროდუქტს და 15 მანეთს, მოვაწყობთ 70 ცხენისძალიან ელექტროსადგურს და რადიოკვანძს. უზრუნველვყოფთ მთელი სოფლის განათებას.

ძვირფასო ამხანაგებო! კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების საფუძველია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება. განუხრელად დავიცვათ წესდების მოთხოვნანი, გადაჭრით ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა.

მოგიწოდებთ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1947 წელს დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ვიბრძოლოთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ ვუპასუხოთ ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებით. პირნათლად შევასრულოთ პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის დავალებანი, მთელი ძალები დავრაზმოთ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. **სახელოვნად შევხვდეთ ბრწყინვალე ისტორიულ დღესასწაულს—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათე წლისთავს.**

მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის გმირი **ვ. ქვაჩანტირაძე**, პარტბიუროს მდივანი **აგრაფინა პაპავა**, კოლმეურნეობის აგრონომი **ს. სურგულაძე**, გამგეობის წევრი **ს. ქვაჩაძე**, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი **შუშანა შარაძე**, ბრიგადირები **მ. დოლიძე, დ. სურგულაძე, ა. ქვაჩაძე, ა. ფასიეშვილი, პ. ქუტიძე**, მერგოლური **ვ. ტოტოჩავა**, სტახანოველები **ბ. ზაქარიაძე, ქ. ჩიქაშუა, ნინო ზღულაძე.**

ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის ტვირთზიდვის გეგმის ვადამდე—7 ნოემბრისათვის შესასრულებლად

ყარაგანდის რკინიგზის კოლექტივმა მიმართა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს წერილით, რომელშიც ნათქვამია, რომ ყარაგანდის გზის რკინიგზელები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

ჩვენ, ქვანახშირის მტვირთავ ყარაგანდის გზის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ვიცით, — ნათქვამია წერილში, — რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის შეუფერხებელ და მაღალნაყოფიერ მუშაობას ახალი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის, საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ტემპების გაძლიერებისათვის, და ამიტომ მოწოდებით მივმართავთ ყველა რკინიგზელს:

ახალი ძალით გავაჩაღოთ, ამხანაგებო, მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით, რათა ყველა რკინიგზამ ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულოს ტვირთზიდვის გეგმა, — უწინარეს ყოვლისა სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი ტვირთების: ქვანახშირის, ლითონის, ნავთის, ხე-ტყის და საშენ მასალათა მხრივ.

ავიღოთ ახალი, გაძლიერებული ვალდებულებანი და ბოლშევიკური ენერგიით შევასრულოთ ისინი.

რკინიგზელის დღეს ტრანსპორტის მუშაკებმა პირობა მისცეს ამხანაგ სტალინს: **„...გავაკეთოთ ყველაფერი, რათა დავიწყოთ დღეღამეში 115 ათასი ვაგონის დატვირთვა არა 1950 წელს, როგორც ეს დასახულია ხუთწლიანი გეგმით, არამედ 1949 წელს“.** შეჯიბრების ახალი აღმავლობა იმის საწინდარი იქნება, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ბელადისათვის მიცემულ სიტყვას და მოვიხდით ჩვენს ვალს სამშობლოს წინაშე მშვიდობიანი განვითარების წლებში ისევე, როგორც მოვიხადეთ ვალი დიდი სამამულო ომის დროს.

ჩვენი მაგისტრალის კოლექტივმა შეაჯამა ახალი სტალინური ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები. 1946 წელს ჩვენ ვიკისრეთ პასუხსაგები ვალდებულებები და ვცდილობდით ისე გვემუშავა, რომ სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ დასცილებოდა. ვადამდე შევასრულეთ დატვირთვისა და გადმოტვირთვის საერთო წლიური გეგმა, გადაჭარბებით შევასრულეთ პურის გადაზიდვის დავალება. მეორთქლმავლეებმა აწევითი რემონტიდან გამოუშვეს 82 ორთქლმავლით მეტი, ვიდრე დავალება იყო, ხოლო გარეცხვითი რემონტიდან — 464 ორთქლმავლით მეტი; ტიმოშეველთა მეთოდით აღდგენილია 17 ორთქლმავალი. კაპიტალური და საშუალო რემონტის დავალებები წარმატებით შეასრულეს აგრეთვე მევაგონეებმა, ლიანდაგელებმა, კავშირგაბმულობის მუშაკებმა.

ვებმებით რა შეჯიბრებაში ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის ტვირთზიდვის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენ, ყარაგანდის გზის მუშაკები ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

7 ნოემბრისათვის შევასრულოთ დატვირთვის სახელმწიფო გეგმა.

დავაჩქაროთ ვაგონების ბრუნვა 0,2 დღეღამით ნორმასთან შედარებით.

გავაუმჯობესოთ ვაგონის ამწევი ძალის გამოყენება, გავადიდოთ მისი საშუალო დატვირთვა 0,5 ტონით, ხოლო ოთხღერძიანი პლატფორმისა ქვანახშირის გადაზიდვის დროს — 3 ტონით.

ლუნინური მეთოდების დანერგვით, ტექნოლოგიის გაუმჯობესებით და შრომის კულტურის ამაღლებით შევასრულოთ რემონტის წლიური გეგმა: ორთქლმავლებისა — 1 დეკემბრისათვის, ვაგონებისა — 15 დეკემბრისათვის, ლიანდაგისა — 1 ოქტომბრისათვის, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობისა — 15 ოქტომბრისათვის.

სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანოთ საორთქლმავლო პარკის 80 პროცენტი და წელიწადი დავამთავროთ 1.600 ათასი მანეთის ეკონომიით საორთქლმავლო სამსახურში. 1947 წელს დავზოგოთ სულ მცირე 5 პროცენტი სათბობი.

გზის მეურნეობის ღრმა შესწავლის, მატერიალური რესურსების მობილიზაციის, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის გატარებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვის გზით შევამციროთ ტვირთზიდვის ღირებულება სულ მცირე 1 პროცენტით 1947 წლისათვის გეგმით დაწესებულ დავალებასთან შედარებით.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით, სამშენებლო მექანიზმების ფართოდ დანერგვით, შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ამაღლებით 15 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის გეგმა.

გავაუმჯობესოთ მგზავრთა მომსახურება ვაგზლებსა და მატარებლებში. ვაგზლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი დავამთავროთ 1 ოქტომბრისათვის და უზრუნველვყოთ რემონტიდან სამგზავრო ვაგონების გეგმის გადამეტებით გამოშვება.

1947 წელს დასახული გეგმის გადამეტებით მოვამზადოთ მასობრივი პროფესიის 1000 მუშაკი.

რკინიგზელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, გარდა ახალ საცხოვრებელ სახლებში 20 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემისა, კაპიტალურად შევაკეთოთ 29 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველოში უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის გეგმის შესრულება 105 პროცენტით, გავზარდოთ მოსავლიანობა საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებში.

— ასეთია ჩვენი ვალდებულებანი, —ნათქვამია წერილში. — ჩვენ ვიწყებთ მათ შესრულებას და მთავარ მიზნად ვისახავთ ვიმუშაოთ რიტმულად და მივცეთ ჩვენს ქვეყანას სულ უფრო მეტი ყარაგანდული ქვანახშირი, რაც საჭიროა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

ამხანაგო რკინიგზელებო, უფრო მაღლა ავიყვანოთ სოციალისტური ტრანსპორტის კულტურისა და ტექნიკის დონე!

ბოლშევიკების პარტიის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით, წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის დელეგაცია

12 მარტს მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის დელეგაცია ფინეთის გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრ ბ-ნ დ. კიალაინენის მეთაურობით. დელეგაციამ მოლაპარაკება უნდა აწარმოოს იმის შესახებ, რომ ფინეთს მიეცეს საუმენის არხით სარგებლობისა და პორკალა-უდის რაიონზე ტრანზიტის უფლება.

დელეგაციაში შედიან ფინეთის საგზაო და წყლის ნაგებობათა სამმართველოს მთავარი დირექტორი ბ-ნი ა. ი. დენრუტი, ფინეთის რკინიგზის სამმართველოს ობერ-დირექტორი ბ-ნი ფ. ლ. ლეხტინენი და ექსპერტები.

ლენინგრადის ვაგზალში დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი კ. ვ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ მოლოჩკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 ევროპული განყოფილების გამგის მოადგილე მ. ს. ვეტროვი, აგრეთვე წევრები ფინეთის მისიისა სსრ კავშირში დესპან ბ-ნ კ. სუნდსტრემის მეთაურობით.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩი** სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. სიმონ ზაქარიას-ძე **გინზბურგი** დანიშნა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მ. ი. **სალტიკოვი** გაათავისუფლა სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. გიორგი მიხეილის-ძე **ორლოვი** დანიშნა სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრად და გაათავისუფლა იგი სსრ კავშირის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

კორეის საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის განახლების საკითხის გამო

ფხენიანი, 6 მარტი. (საქტესი). მიღებული ცნობების თანახმად, ამ უკანასკნელ ხანს ჩრდილოეთ კორეაში საბჭოთა ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ჩისტიაკოვმა და სამხრეთ კორეაში ამერიკის ჯარების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ჰოჯმა წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის განახლების საკითხზე.

1946 წლის 24 დეკემბრის თავის წერილში გენერალმა ჰოჯმა განაცხადა, რომ იგი მზად არის ერთობლივი კომისიის მუშაობის განახლების საფუძვლად მიიღოს გენერალ ჩისტიაკოვის წინადადებანი, რაც მან წარადგინა 1946 წლის 26 ნოემბრის წერილში. ამასთანავე გენერალმა ჰოჯმა წამოაყენა ამ წინადადებათა თავისი ინტერპრეტაცია. გენერალმა ჰოჯმა წინადადება შეიტანა, რათა პირველი პუნქტი გენერალ ჩისტიაკოვის წინადადებებისა იმის შესახებ, რომ ერთობლივი კომისია უნდა ეთათბირებოდეს იმ დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც სავსებით უჭერენ მხარს მოსკოვის გადაწყვეტილებას კორეის შესახებ, განმარტებულ იქნას შემდეგნაირად: „ხელმოწერა დეკლარაციისა, რომელსაც შეიცავს № 5 კომუნიკე, განხილულ იქნება, როგორც განცხადება კეთილი განზრახვის შესახებ—სავსებით დაუჭირონ მხარი მოსკოვის გადაწყვეტილებას, და მის ხელისმომწერ პარტიებს თუ ორგანიზაციებს უფლებას ანიჭებს წამოყენებულ იქნან თავდაპირველი კონსულტაციისათვის".

გენერალ ჩისტიაკოვის ამ წინადადებათა მეორე პუნქტის გამო, რომ პარტიებმა თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არ უნდა გამოჰყონ საკონსულტაციოდ ისეთი წარმომადგენლები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს კორეის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების წინააღმდეგ აქტიური გამოსვლებით, გენერალმა ჰოჯმა აზრი გამოსთქვა, რომ პარტიებს თუ ორგანიზაციებს უფლება უნდა ჰქონდეთ დანიშნონ რომელიც წარმომადგენელიც სურთ. „მაგრამ, თუ ასეთი წარმომადგენელი,—ნათქვამია გენერალ ჰოჯის წერილში,—სავსებით საფუძვლიანი მიზეზებით მიჩნეულ იქნება ანტაგონისტურად მოსკოვის გადაწყვეტილების შესრულებისადმი, ანდა ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფოსადმი, ერთობლივ კომისიას ურთიერთშეთანხმების შემდეგ შეეძლება მოითხოვოს, რომ პარტიამ, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა, გამოჰყოს მის ნაცვლად სხვა წარმომადგენელი".

ამერიკის სარდალს არსებითად არ გამოუთქვამს ამ წინადადებათა მე-3 პუნქტის საწინააღმდეგო აზრი, მაგრამ მან წამოაყენა ამ პუნქტის შემდეგი ფორმულირება: „ერთობლივ კომისიასთან საკონსულტაციოდ მიწვეულმა პირებმა, პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა იმ დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, რომელსაც № 5 კომუნიკე შეიცავს, არ უნდა გაალვივონ ან წააქეზონ აქტიური გამოსვლები ერთობლივი კომისიის მუშაობის ან მოსკოვის გადაწყვეტილების შესრულების წინააღმდეგ.

ის პირები, პარტიები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იმ დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, რასაც № 5 კომუნიკე შეიცავს, გაალვივებენ ან წააქეზებენ აქტიურ გამოსვლებს ერთობლივი კომისიის მუშაობის წინააღმდეგ ან ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფოს ანდა მოსკოვის გადაწყვეტილების შესრულების წინააღმდეგ, გარიცხულ იქნებიან გაერთიანებული კომისიის შემდგომი კონსულტაციიდან.

გადაწყვეტილება ასეთი პირების, პარტიების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარიცხვის შესახებ მიღებულ იქნება ერთობლივი კომისიის ყველა დელეგაციის შეთანხმებით".

გენერალ ჰოჯისადმი ამა წლის 28 თებერვლის თავის საპასუხო წერილში გენერალმა ჩისტიაკოვმა აღნიშნა, რომ ორივე მხარის პოზიციები ერთმანეთისათვის წერილების მიწერის შედეგად საგრძნობლად დაახლოვდა. გენერალმა ჩისტიაკოვმა განაცხადა, რომ ეთანხმება თავის 1946 წლის 26 ნოემბრის წინადადებათა პირველი პუნქტის იმ ინტერპრეტაციას, რომელსაც შეიცავს ჰოჯის წერილი, იღებს რა მხედველობაში, რომ „საქმე არ შეიძლება განისაზღვროს და არც უნდა განისაზღვროს მარტო იმით, რომ ის პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც ხელს მოაწერენ განცხადებას, რასაც № 5 კომუნიკე შეიცავს, სავსებით დაუჭერენ მხარს მოსკოვის გადაწყვეტილებას. შემდგომი მოქმედება ასეთი პარტიებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც ხელს მოაწერენ აღნიშნულ განცხადებას და, მაშასადამე, ვალდებულებას იკისრებენ „სავსებით დაუჭირონ მხარი მოსკოვის გადაწყვეტილებას კორეის შესახებ, აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს ამ ვალდებულებებს".

გენერალი ჩისტიაკოვი ეხება გენერალ ჰოჯის შენიშვნებს გენერალ ჩისტიაკოვის 1946 წლის 26 ნოემბრის წერილით გათვალისწინებულ წინადადებათა მეორე პუნქტის გამო და განმარტავს, რომ „საბჭოთა დელეგაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, რათა პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ კომისიასთან კონსულტაციაში, წინასწარ ინფორმირებული იყვნენ, რომ მათ საკონსულტაციოდ ისეთი წარმომადგენლები არ უნდა გამოჰყონ, რომლებმაც სახელი გაიტეხეს მოსკოვის გადაწყვეტილების წინააღმდეგ აქტიური გამოსვლებით. ვიღებ რა მხედველობაში ამას და ვითვალისწინებ რა თქვენს შენიშვნებს, — ნათქვამია შემდეგ გენერალ ჩისტიაკოვის წერილში, — წინადადება შემოგაქვს მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პარტიას ან ორგანიზაციას, რომელმაც ხელი მოაწერა განცხადებას, რასაც შეიცავს № 5 კომუნიკე, უფლება აქვს ისეთი წარმომადგენელი დანიშნოს, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ შესძლებს წარუდგინოს ერთობლივ კომისიას მისი შეხედულებანი მოსკოვის გადაწყვეტილების შესრულების მხრივ და რომელსაც სახელი არა აქვს გატეხილი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ აქტიური გამოსვლებით. მაგრამ, თუ დანიშნული წარმომადგენელი სავსებით საფუძვლიანი მიზეზებით მიჩნეულ იქნება ანტაგონისტურად მოსკოვის გადაწყვეტილების შესრულებისადმი ან ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფოსადმი, ერთობლივ კომისიას ურთიერთშეთანხმების შემდეგ შეეძლება მოითხოვოს, რათა პარტიამ, რომელმაც ასეთი განცხადება (დეკლარაცია) გააკეთა, სხვა წარმომადგენელი გამოჰყოს მის ნაცვლად".

გენერალმა ჩისტიაკოვმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება გენერალ ჰოჯის მიერ წარმოდგენილ მე-3 პუნქტის ფორმულირებას, რაც მას ისე ესმის, რომ ცნება „პირებში" იგულისხმებიან პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მიწვეული არიან კონსულტაციაში მონაწილეობის მისაღებად.

თავისი წერილის დასასრულ გენერალმა ჩისტიაკოვმა იმედი გამოსთქვა, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციებს შორის კორეის დემოკრატიულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან კონსულტაციის პირობების შეთანხმება უზრუნველჰყოფს ერთობლივი კომისიის მუშაობის სწრაფად და წარმატებით განახლებას.

ბულგარეთის მთავრობის მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსადმი

სოფია, 12 მარტი. (საქტესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიასთან დაკავშირებით ბულგარეთის მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრებს მოლოტოვს, მარშალს, ბევინსა და ბიდოს გაუგზავნა წერილი პრემიერ-მინისტრ გიორგი დიმიტროვისა და პრემიერის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის კიმონ გეორგიევის ხელმოწერით.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „ამ მომენტში, როცა დგას საკითხი ერთი მხრივ გაერთიანებულ ერებსა და მეორე მხრივ გერმანიას შორის არსებული ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ, ბულგარეთის მთავრობა სთვლის, რომ დგება სხვა საკითხიც: ბულგარეთსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტა.

მართლაც, ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობის მდგომარეობის დამყარება ლოგიკური და იურიდიული აუცილებლობა, რომელიც იმ უდავო ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ბულგარეთი გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა".

წერილში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ საზავო ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია ბულგარეთის აქტიური მონაწილეობა გერმანიის წინააღმდეგ ომში, და შემდეგ ნათქვამია: „გერმანიის წინააღმდეგ ამ ომში, რომელიც ბულგარეთმა უშუალოდ გამოაცხადა და რომელსაც მთელი სერიოზულობით ეწეოდა ბულგარელი ხალხი, ბულგარეთს მძიმე ზარალი მოუვიდა. 8 თვის მანძილზე ბულგარეთში იარაღასხმული იყო და სხვადასხვა ფრონტზე იომებდა 339.760 კაცი. ზარალის რაოდენობა აღწევს 40 ათას მოკლულს, დაჭრილსა და უგზო-უკვლოდ დაკარგულს. ომი ბულგარეთის ეროვნულ მეურნეობას 133 მილიარდ 130 მილიონ ლევად დაუჯდა. ეს შედეგი ციფრებით არის გამოხატული და ვერ გამოხატავს ბულგარელი ხალხის მთელ ტანჯვასა და მსხვერპლს ომის განმავლობაში და გერმანიის მიერ ბულგარეთის ტერიტორიის ფაქტიური ოკუპაციის მანძილზე. იგი მოწმობს მხოლოდ იმ ზარალს, რაც უშუალოდ მოგვაყენა ომმა, რომელსაც გერმანიის წინააღმდეგ ბულგარეთის საზღვრების დაშორებით ვეწეოდით.

ბულგარეთის მთავრობას სამართლიანად მიაჩნია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ყურადღება მიაპყროს ბულგარეთის სახელმწიფოს უფლებებსა და ინტერესებზე, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობიდან გამომდინარეობენ. ბულგარელი ხალხის ზარალი და მსხვერპლი ამ ომში ნაწილობრივ შეიძლება კომპენსირებულ იქნას, თუ ბულგარეთს ნებას დართავენ წარადგინოს თავისი უფლებანი გერმანიისათვის დაკისრებული რეპარაციების ნაწილზე. რეალური ვითარების უკეთესად შესაბამისი ვერ იქნება საკითხის ვერავითარი სხვა გადაწყვეტა, გარდა იმისა, რომ თუნდაც ნაწილობრივ ანაზღაურებულ იქნას ის მსხვერპლი და ზარალი, რაც ბულგარელ ხალხს გერმანული ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ომის მსვლელობაში მოუვიდა. ბოლოს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი შესაძლებლობაა იმ მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რაც ბულგარეთისათვის შეიქმნა გერმანიისადმი მისი იმ პრეტენზიების უარყოფის შედეგად, რომლებიც გათვალისწინებულია ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების 26-ე მუხლით.

ბულგარეთის მთავრობა, მეორე მხრივ, სთვლის, რომ ეს არის ერთადერთი საშუალება იმ უსამართლობის გამოსასწორებლად, რაც ბულგარეთს მიაყენა ხელშეკრულებამ, რომელიც უფრო სასტიკია, ვიდრე, მაგალითად, ფინეთთან საზავო ხელშეკრულება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ შეიცავს არავითარ მუხლებს, რომლებშიც გათვალისწინებული იყოს გერმანიისადმი პრეტენზიებზე უარის თქმა. მხედველობაში იღებს რა ეფექტიან ომს, რომელსაც ბულგარელი ხალხი გერმანიის წინააღმდეგ ეწეოდა და რომელშიც იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო თავისი საკუთარი ტერიტორიის განთავისუფლებით, არამედ ხელს უწყობდა გაერთიანებული ერების საერთო საქმეს, ბულგარეთის მთავრობას სამართლიანად არ მიაჩნია, რომ ბულგარეთისადმი მიდგომა უფრო სასტიკი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნისადმი, რომელიც ღერძის ქვეყნების სატელიტი იყო. ამიტომ ბულგარეთის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია სთხოვოს ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების მსვლელობაში მიიღოს ბულგარეთის სპეციალური დელეგაცია, რომელიც ბულგარეთის მთავრობის სახელით წარადგენს ბულგარეთის კანონიერ მოთხოვნებს ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

გერმანიის საკონტროლო საბჭოს მორიგი სხდომა

ბერლინი, 11 მარტი. (საქტესი). გუშინ აქ გენერალ-პოლკოვნიკ კუროჩკინის თავმჯდომარეობით შესდგა საკონტროლო საბჭოს მორიგი (56-ე) სხდომა. სხდომას დაესწრნენ გენერალი მაკნერნი, სამეფო საჰაერო ძალების მარშალი შოლტო დუგლასი და არმიის გენერალი კენიგი.

საკონტროლო საბჭომ დაამტკიცა და ხელი მოაწერა № 47 კანონს საზღვარგარეთ გერმანიის სადაზღვევო ოპერაციების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე № 48 კანონს ოკუპაციამდელი საფოსტო მარკების შესახებ.

საკონტროლო საბჭომ სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ გენერალი ჯოზეფ ტ. მაკნერნი უკანასკნელად ესწრება სხდომას როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი საკონტროლო საბჭოში და უსურვა მას წარმატება მის ახალ სამუშაოზე.

გენერალ ლეიტენანტი ლ. კლეი 15 მარტიდან შესცვლის გენერალ მაკნერნის გერმანიის ოკუპაციის ამერიკული ზონის მთავარსარდლის პოსტზე.

ტყიბულელი ბოლშევიკები ამხელენ მეშახტეთა მუშაობის ნაკლოვანებებს

ამასწინათ შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ტყიბულში ქვანახშირის ამოღების 1947 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი და საშახტო პარტიული ორგანიზაციების ზრდის საკითხი.

1947 წელს ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მმართველი ა. ვარდიშვილი. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. ტყიბულელმა მეშახტე ბოლშევიკებმა დაურიდებლად ამხილეს ნაკლოვანებანი, რომელნიც მათ ხელს უშლიან მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში.

1947 წლის მაჩვენებლები

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წელს — 1947 წელს ტყიბულში ქვანახშირის ამოღება 1946 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად უნდა გადიდდეს.

ტყიბულელ მეშახტეებს საბრძოლო ამოცანად აქვთ დასახული წლიური გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო ამოღება გაზარდონ 1946 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით პირველ კვარტალში 67 პროცენტით, მეორე კვარტალში 68,8 პროცენტით, მესამე კვარტალში 78,2 პროცენტით და მეოთხე კვარტალში 83,2 პროცენტით.

პლენუმზე მოხსენებით გამოსულმა ქვანახშირის ტრესტის მმართველმა ა. ვარდიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის იანვრისა და თებერვლის მუშაობის მაჩვენებლები სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

რა სთქვეს კამათში გამოსულებმა

ი. გორგაძე (მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე)—ლენინისა და სტალინის შახტების მუშათა კოლექტივებს უკეთესი მუშაობის შესაძლებლობა აქვთ. დეკემბერში, მაგალითად, იყო ისეთი დღეები, როდესაც სტალინის სახელობის შახტი იძლეოდა გაცილებით იმაზე მეტ ქვანახშირს, ვიდრე მიმდინარე წლის გეგმით არის გათვალისწინებული. მაშასადამე, დეკემბერში მიღწეული წარმატებანი ვერ შევინარჩუნეთ. სტალინის სახელობის შახტში ის უბანი, რომელსაც შ. შოთაძე ხელმძღვანელობს, დეკემბერში ყველაზე მოწინავე იყო. ახლა ამ უბანშიც ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება შემცირდა რამდენიმე ათეული ტონით. ასევე გააუარესეს მუშაობა იმ უბნებმა, რომლებსაც ნიკო ციცხვაია, ლადო გვენეტაძე, მელიტონ ვერულაშვილი ხელმძღვანელობენ. ამის მიზეზია შრომის არასწორი ორგანიზაცია, კვალიფიციური მეშახტეების არასაკმაოდ დატვირთვა, გამონამუშევარი ადგილების ჰიდროამოვსების საქმის ტექნიკურად მოუწესრიგებლობა, რის გამო ქვემო ფენათა სანგრევებში წყალი ჩადის და ხელს უშლის მეშახტეებს მაღალნაყოფიერად მუშაობაში.

მეშახტეთა შორის სუსტია შრომის დისციპლინაც. 17 თებერვალს სტალინის სახელობის შახტში სამუშაოზე 20 წუთით დაიგვიანა 44 მეშახტემ. უბნებში ხშირად აკლიათ ხელსაწყოები და იარაღ-მანქანები, სანგრევებში ზოგჯერ არასტანდარტული ფეთქებადი მასალები მოსდით, რაც შეიძლება უბედურ შემთხვევათა გამოწვევის მიზეზი გახდეს.

ვ. კორძაძე (ტრესტის მმართველის მოადგილე)—ახლა ჩვენთან მწვავედ დგას საბინაო მშენებლობის საქმე. უბნის უფროსები გეგმების შეუსრულებლობის ძირითად მიზეზად კვალიფიციურ მეშახტეთა სიმცირეს ასახელებენ, მაგრამ კვალიფიციურ მეშახტეებს ვერასოდეს შევინარჩუნებთ, თუ მათ ბინები არ მივეცით. ამიტომ წელს ტრესტს გადაწყვეტილი აქვს თვითონ მოჰკიდოს ხელი საბინაო მშენებლობას, ააგოს სულ ცოტა 20.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

პ. ნანიკაშვილი (სტალინის სახელობის შახტის მე-6 უბნის უფროსი) — უნდა ითქვას, რომ 1947 წელს ჩვენ კარგად მომზადებულნი ვერ შევხვდით. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ დღემდე ვერ გადავეჩვიეთ იერიშობანას, ვერ დავნერგეთ რიტმული მუშაობა. დეკემბერში მთელი ყურადღება მივაქციეთ ქვანახშირის ამოღების გადიდებას, ხოლო სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ახალი მასშტაბებით გაშლაზე ზრუნვა მივივიწყეთ. ამაში მეშახტეებს ბრალი არ მიგვიძღვის. ტრესტის ხელმძღვანელობამ, ხოლო უპირველეს ყოვლისა შახტის ხელმძღვანელობამ მომავალში ასეთი ცალმხრივობა არ უნდა დაუშვას.

მ. ვერულაშვილი (სტალინის სახელობის შახტის მე-4 უბნის უფროსი) — ჩვენს უბანში გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სანგრევებში მუდამ მოდის გამონამუშევრების დასაშლამავად მოშვებული ჭუჭყიანი წყალი. საჭიროა, დამუშავებულ იქნას დაშლამვის გრაფიკი. მეშახტემ უნდა იცოდეს, როდის ექნება წყალთან საქმე, რომ თავისი მუშაობის სიმძიმე გადაიტანოს იმ საათებში, როდესაც წყალი ხელს არ შეუშლის.

გ. ჩიტიშვილი (ლენინის სახელობის შახტის მე-2 უბნის უფროსი) — ქვანახშირისათვის ბრძოლას დიდად აფერხებს სანათურების უქონლობა. ის სანათურები, რომლებიც მეშახტეებს ეძლევათ, უვარგისია. ხშირად სანათური მეშახტეს სამუშაო ადგილამდე თუ მიიყვანს. ამრიგად, მას მუშაობა უხდება სიბნელეში, რაც ცხადია, დიდად ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

ნიკ. კვინიხიძე (ლენინის სახელობის შახტის უფროსი) — აქ სწორად აღინიშნა, რომ ახლანდელი ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი გასული წლის მეორე ნახევარში სამუშაო ფრონტების მომზადებისადმი არასაკმაო ყურადღებაა.

მთავარი ყურადღება ახლა უნდა მივაქციოთ მიწისქვეშა სამუშაოებზე მუშახელის რიცხვის გადიდებას. საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ მიწისქვეშა ტრანსპორტის მუშაობა, მოვაგვაროთ მუშათა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

პ. კაციტაძე (ტრესტის საგეგმო განყოფილების უფროსი) — შახტებში მექანიზმების გამოყენებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ჩვენ მოგვეპოვება შესანიშნავი მექანიზმები — გამკვეთ-საბურღავი დანადგარები, გადამტვირთველები და სხვა, მაგრამ მათ სრული ნაყოფიერებით ვერ ვიყენებთ.

ლ. რატიანი (სტალინის სახელობის შახტის უფროსი) — ჩვენს შახტში მოწყობილია ჰიდრავლიკური ამოვსების ანუ დაშლამვის საცდელი ველი. ამ საქმის ხელმძღვანელები (უფროსი ამხ. თოფურია) ყურადღებას არ აქცევენ, რომ მათ მიერ მიშვებული წყალი ხელს უშლის მეშახტეებს მუშაობაში. ამას გარდა, გეგმის შესრულებაში ხელს გვიშლის შრომის დისციპლინის სისუსტე, მაგრამ ამჟამად მიღებულია ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის

კამათიდან გამოირკვა, რომ ტრესტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება სულ მოკლე ხნის საქმეა, თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებენ ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი, რაც კამათში იყო აღნიშნული, მეშახტეთა კადრების სიმცირეა. მაგრამ ამავე დროს გამოირკვა, რომ ის მეშახტეები, რომლებიც შახტებში ჰყავთ, სრულად არ არიან დატვირთულნი, მათი მუშაობა ისე არ არის მოწყობილი, რომ გეგმას უკლებლივ ყველა მეშახტე ასრულებდეს. მარტო იანვარ-თებერვალში ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში ნორმა ვერ შეასრულა 307 მეშახტემ. ჩამორჩენის სხვა მიზეზთა შორის უნდა აღინიშნოს შახტების ხელმძღვანელთა არაოპერატიული, მოუქნელი მუშაობა. მაგალითად, როდესაც შახტის ხელმძღვანელობა ხედავს პირველი ცვლის მუშაობის არასასურველ შედეგებს, ზომებს არ იღებს მეორე ცვლაში საქმის გამოსასწორებლად, ხოლო მესამე ცვლები, რომლებიც უმთავრესად ნაშუაღამევს განაგრძობენ ქვანახშირის ამოღებას, მთლად თავის ანაბარად არიან მიტოვებულნი.

უახლოეს დღეებში ტყიბულელ მეშახტეებს შემატებიან ახალი კადრები. ამით მუშახელის ნაკლებობაზე ლაპარაკს ბოლო მოეღება. მაგრამ ახალმოსულთა შესანარჩუნებლად საჭიროა მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება, მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესება. საბინაო მშენებლობის სწრაფი ტემპით განვითარებასთან ერთად უნდა გავაუმჯობესოთ სასადილოების მუშაობაც, მოვაწესრიგოთ გეგმების შესრულებისათვის პრემიების გაცემა, უკეთესად მოვაწყოთ ტექნიკური უსაფრთხოების საქმე.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების მძლავრი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ საშახტო პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები.

* * *

პლენუმმა მოისმინა ლენინისა და სტალინის სახელობის საშახტო პარტორგანიზაციების მდივნების ი. იოსელიანისა და რ. სადუნიშვილის, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის შახტის მშენებლობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის გ. როინიშვილის მოხსენებანი პარტიის რიგების ზრდისა და პარტიაში ახლად მიღებულთა აღზრდის საკითხზე.

ამ მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დ. ბოკერიამ (რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე), გ. ჭარბაძემ (ორპირის ჩაის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), ალ. ბოჭორიშვილმა (ალკკ ტყიბულის რაიკომის მდივანი) და სხვ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანმა ე. ჯვებენავამ.

მოსმენილ მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

დ. ამირანიძე

პარტიული ცხოვრება

როცა ხელმძღვანელობა გაუმჯობესდა

რაიკომის ბიუროზე სოფელ ქვემო-ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის საკითხს იხილავდნენ.

წინათ ეს კოლმეურნეობა ხობის რაიონში მოწინავე იყო, ახლა კი ყველაზე ჩამორჩენილთა რიგებში იდგა.

რა გამოირკვა?

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელი იყო შრომა. დაბალი იყო დისციპლინა. საკოლმეურნეო დოვლათი ნიავდებოდა. 85 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოუვლელობის გამო დაიხოცა. შრომადღეზე მხოლოდ 400 გრამი მარცვალი გასცეს. პატიოსან კოლმეურნეებს შრომაზე გული აუცრუვდათ. არ სჩანდა პარტორგანიზაციის მტკიცე ხელი. მივიწყებული იყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

რაიკომის ბიურო სწორად მოიქცა, როცა სამუშაოდან მოხსნა პარტორგანიზაციის მდივანი და კოლმეურნეობას ურჩია გამგეობა გადაეხალისებინა. ამჯერად კოლმეურნეობის ხელმძღვანელებად არჩეულ იქნენ დემობილიზებული ამხანაგები ვ. ლაგვილავა (გამგეობის თავმჯდომარედ) და ვ. მამფორია (პარტორგანიზაციის მდივნად).

ეს იყო 1945 წლის დეკემბრის ბოლოს.

10 იანვარს მოწვეულ იქნა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელსაც უნდა დაესახა ღონისძიებანი 1946 წელს უხვი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. ასე საქმიანი კრება კოლმეურნეებს დიდი ხანია არ ენახათ.

პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება.

საჭიროდ იქნა ცნობილი ნათესი ფართობის 180 ჰექტარით გადიდება ეკალბარდიანი ნიადაგების დამუშავების გზით, დასუსტებული მუშაპირუტყვის დაუყოვნებლივ გადაყვანა გაძლიერებულ კვებაზე, მუშაობის რგოლური სისტემის მტკიცედ დანერგვა და გათანაბრების ლიკვიდაცია, სტახანოვური ჰექტარების მეტი რაოდენობის მოწყობა, აგროწესების ზუსტად დაცვა და ბრიგადებსა, რგოლებსა და კოლმეურნეებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა.

ასეთი იყო კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები.

პარტორგანიზაციის მიერ დასახული ღონისძიებები განუხრელად ხორციელდებოდა. კოლმეურნეობაში შეიქმნა 10 ბრიგადა და 48 რგოლი. გამგეობამ მათ მიამაგრა მუშაპირუტყვი, ინვენტარი, მიწის ნაკვეთები. პარტორგანიზაციამ სწორად გაანაწილა თავისი ძალები ბრიგადებსა და რგოლებში. თვითეულ კომუნისტსა და კომკავშირელს გარკვეული ამოცანა დაუსახა.

პარტბიურო სისტემატურად ამოწმებდა დადგენილების შესრულების მიმდინარეობას, იხილავდა პირუტყვის გამოზამთრების, იარაღ-მანქანების, ინვენტარის რემონტის, თესლის, ნიადაგის მომზადების, ახალი საყანეების გაკაფვის საკითხებს, ქმედითად ეხმარებოდა ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებს დავალების წარმატებით შესრულებაში.

გაზაფხული დადგა. თესვაც გაჩაღდა. მორიგმა პარტიულმა კრებამ განიხილა თესვის მიმდინარეობის საკითხი. საგაზაფხულო სამუშაოებში ზოგიერთი ბრიგადა ჩამორჩებოდა. ამ ბრიგადებში მომუშავე კომუნისტები და კომკავშირელები საკმაო დახმარებას არ უწევდნენ ბრიგადირებსა და მერგოლეებს. განსაკუთრებით აღინიშნა № 5 ბრიგადის ჩამორჩენა. ამ ბრიგადაში კომუნისტი ბ. პაპავა მუშაობდა. კომუნისტებმა გააკრიტიკეს № 7 ბრიგადის მუშაობაც, აღნიშნეს ამ ბრიგადაში აგროწესების დარღვევის ფაქტები. პარტიულმა კრებამ № 7 ბრიგადაში საქმის გამოსწორება დაავალა პარტბიუროს მდივანს ამხ. ვ. მამფორიას.

პარტიული ორგანიზაციის მეთაურობით შარშან კოლმეურნეები საქმიანად გამოეხმაურნენ გაზეთ „კომუნისტის" მოწოდებას სტახანოვური ჰექტარების მოწყობის შესახებ. ამან საუკეთესო შედეგები გამოიღო. სტახანოვურმა ნაკვეთებმა, რაც შარშან ამ კოლმეურნეობაში 35 ჰექტარზე მეტ ფართობს შეადგენდა, მკვეთრად გაზარდა მოსავლიანობა. ყოველ სტახანოვურ ჰექტარზე ნაცვლად 15 ცენტნერისა მიღებულ იქნა 46.5 ცენტნერი მარცვლეული. სტახანოვურ ჰექტარზე მაღალი მოსავალი მოიყვანეს და პრემია-წანამატი მიიღეს საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულებმა პ. ხარბედიამ, ა. სიჭინავამ, ქ. ახალაიამ, მოხუცმა კოლმეურნემ ი. გრიგოლიამ და სხვებმა. დემობილიზებულ გ. მამადაშვილის რგოლმა სტახანოვურ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერის ნაცვლად 24 ცენტნერი სოია მოიყვანა და პრემია-წანამატის სახით 120 ფუთი სიმინდი მიიღო.

პარტიული ორგანიზაციის ასე თანმიმდევრულ ბრძოლას მოსავლიანობის ამაღლებისათვის სასურველი შედეგიც მოჰყვა. შარშან, მიუხედავად გვალვისა, შრომადღეზე 8,5 კილოგრამი მარცვლეული გაიცა. 1945 წელთან შედარებით მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 156 სულით გაიზარდა. კოლმეურნეობამ პირნათლად მოიხადა ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, გეგმის გადამეტებით ჩააბარა 2.100 ფუთი სოია, 700 კილოგრამი ხორცი, 65 კილოგრამი ყველი და სხვა მრავალი პროდუქტი, ააშენა კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, სასადილო, პირუტყვის სადგომები და ბევრი სხვა ნაგებობა.

ასეთია სწორი ხელმძღვანელობის, კარგად მოწყობილი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგი.

როგორ მუშაობს კოლმეურნეობა წელს?

ქვალონელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. მათ გადასწყვიტეს ერთიორად აამაღლონ მოსავლიანობა. ამას ცხადჰყოფს პარტორგანიზაციის მიერ დასახული ღონისძიებები, რომლებიც უკვე წარმატებით ხორციელდება.

შარშანდელთან შედარებით ნათესი ფართობი გაიზრდება 90 ჰექტარით. თუ შარშან სტახანოვური ნაკვეთები 35 ჰექტარს შეადგენდა, წელს 105 ჰექტარამდე გადიდდება.

მიმდინარე წლის მოსავლის ბედს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარება სწყვეტს. ეს კარგად ესმით კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას, მის პარტიულ ორგანიზაციას. ამიტომ არის, რომ მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მიმართულია საგაზაფხულო ხვნა-თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისაკენ.

მაღალ საფეხურზე დგას სააგიტაციო მუშაობა. აგიტატორები განუმარტავენ მშრომელებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ".

კომკავშირელი შ. ყალიჩავა № 5 ბრიგადის აგიტატორია. თავისი საუბრებით ის რაზმავს ბრიგადის წევრებს დაუღალავი შრომისათვის, აცნობს მათ მოწინავეთა გამოცდილებას, კოლმეურნეთა ყურადღებას ამახვილებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებებზე.

კოლმეურნეობას 1947 წელს მაღალი მოსავლის მოყვანისათვის ყველა პირობა მოეპოვება. გატეხილია 60 ჰექტარი ყამირი, მთელი ფართობი გაწმენდილია, მზად არის თესლი. უკვე მოხნულია 150 ჰექტარზე მეტი ფართობი. ბრიგადებსა და რგოლებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, რომ თესვა ზუსტად აგროწესების დაცვით შესრულდეს.

1947 წლის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები დგანან.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული კომუნისტი ს. პაპავა უკვე ორი წელიწადია № 2 ბრიგადას ხელმძღვანელობს. შარშან მისმა ბრიგადამ სანიმუშოდ იმუშავა, გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერის ნაცვლად სტახანოვურ ჰექტარზე 24 ცენტნერი სოია მოიყვანა. პირადად მან 500 შრომადღე გამოიმუშავა და დიდძალი ჭირნახული მიიღო. ეს ბრიგადა წელსაც სანიმუშოდ მუშაობს, უკვე მოხნული აქვს 20 ჰექტარზე მეტი, ითესავს 15 ჰექტარ ყამირს, ჯანსაღად ჰყავს პირუტყვი.

მოწინავეა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ვ. გოგუა ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის რგოლის ხელმძღვანელი კომუნისტი ვ. გაბუნია ბეჯითი მუშაობის მაგალითს უჩვენებს უპარტიო კოლმეურნეებს.

საგაზაფხულო თესვის ყველაზე საპასუხისმგებლო დღეები ახლოვდება. ქვალონელი კოლმეურნეები წელს უხვ მოსავალს მიიღებენ. ამის საწინდარია კოლმეურნეობის კარგი და უნარიანი ხელმძღვანელობა, კომუნისტების დარაზმულობა და ორგანიზებულობა, კოლმეურნეთა ბეჯითი და თავდადებული შრომა.

ა. ნინუა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომმა ამას წინათ მოაწყო რაიონის აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი, რომელიც მიეძღვნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების — „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" შესწავლის საკითხს.

სემინარი, რომელსაც 29 ამხანაგი დაესწრო, ჩაატარა რაიკომის მდივანმა ამხ. ალ. კვარაცხელიამ.

ბ. მილიუტინი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

11 მარტის სხდომა

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს 11 მარტის სხდომას თავმჯდომარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მარშალი. სხდომის დასაწყისში მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება — სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო სააგენტოს გენერალური მდივნის წერილის განხილვა დაუკავშირდეს რეპარაციების საკითხის განხილვას.

განხილვა საბჭოთა კავშირის წინადადებისა ჩინეთის შესახებ

მინისტრები შეუდგნენ საბჭოთა კავშირის წინადადების განხილვას იმის შესახებ, რომ სესიის დღის წესრიგს დაემატოს სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების 1945 წლის დეკემბრის მოსკოვის თათბირის მონაწილეთა ინფორმაცია მაშინ ჩინეთის შესახებ მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ბევინმა მოიმიზეზა, რომ მოსკოვის 1945 წლის თათბირი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესია არ ყოფილა და რომ იმ თათბირზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ სამი და არა ოთხი სახელმწიფო. ამ საფუძვლით ბევინი ფიქრობს, რომ მოსკოვის 1945 წლის თათბირის დადგენილების შესრულების საკითხი უმჯობესია განხილულ იქნას არა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ოფიციალურ სხდომაზე. ბევინი იმის წინააღმდეგი არ არის, რომ მინისტრებმა კერძო სხდომაზე მოახდინონ აზრთა გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა დელეგაციის მიერ აღძრული საკითხის გამო, ამასთან სურვილი გამოსთქვა, რომ ამაში მონაწილეობა მიიღოს ჩინეთის წარმომადგენელმა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბიდო მოაგონებს სხდომას, რომ საფრანგეთს მონაწილეობა არ მიუღია მოსკოვის 1945 წლის თათბირში. ამ საფუძვლით საფრანგეთის წარმომადგენელს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ თათბირის გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხის განხილვაში.

მარშალმა გაიმეორა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მიერ წამოყენებული არგუმენტები და შეუერთდა ბევინის წინადადებას: „სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების კერძო სხდომაზე მოხდეს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ჩინეთის შესახებ მოსკოვის თათბირის დადგენილების შესრულების თაობაზე".

საბჭოთა დელეგაციის წინადადების დასასაბუთებლად ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ დელეგაციას მხედველობაში ჰქონდა შემდეგი:

სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების 1945 წლის დეკემბრის მოსკოვის თათბირზე ირჩეოდა გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულებათა მომზადების საკითხი; შემდეგ ამ საკითხის განხილვა გრძელდებოდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიებზე. მოლოტოვმა მოაგონა სხდომას ეს პრეცედენტი და სთქვა:

— ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნდა ინფორმაციის წესით საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე დაგვეყენებინა მოსკოვის თათბირზე მიღწეული შეთანხმების შესრულების საკითხი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს არ შეჰქმნიდა სიძნელეებს ვისთვისმე და რომ ამაში მოულოდნელი არაფერი იქნებოდა. სავსებით გასაგებია, რომ მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიიდან განვლილი ორი თვის შემდეგ შეიძლებოდა ახალი საკითხებიც წამოჭრილიყო, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ჩვენ წინასწარ გადავწყვიტეთ შეგვეტანა ამ სესიის დღის წესრიგში.

საბჭოთა დელეგაციას იმის საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, რომ დაყენებული საკითხი განხილულ იქნას იმავე არაფორმალური წესით, როგორც იგი განხილულ იქნა 1945 წლის დეკემბერში. მაგრამ საბჭოთა დელეგაციას შესაძლოდ მიაჩნდა, რომ დაყენებული საკითხი განხილულ იქნას მინისტრების საბჭოს სესიის სხდომაზე. ბევინმა და მარშალმა, მოსკოვის 1945 წლის თათბირის მონაწილე მთავრობათა წარმომადგენლებმა, მხარი დაუჭირეს იმას, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას სამი მინისტრის არაფორმალურ თათბირზე. საბჭოთა დელეგაციას არაფერი ექნება ასეთი წინადადების საწინააღმდეგო. ამასთან საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ, ისევე როგორც 1945 წლის დეკემბერში, ეს საკითხი შეიძლება განხილულ იქნას არაფორმალური წესით და გამოქვეყნდეს სათანადო კომუნიკე ასეთი თათბირის შედეგების შესახებ. თუ ეს ჩემი კოლეგებისათვის მისაღებია, — შენიშნა ვ. მ. მოლოტოვმა, — მე მგონია, ამაზე შეიძლება შევჩერდეთ.

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის შემდეგ ბევინმა გაიმეორა თავისი წინადადება და გამოსთქვა აზრი ამ საკითხზე განსაკუთრებული კომუნიკეს გამოქვეყნების წინააღმდეგ.

განხილვა ამერიკის წინადადებისა დღის წესრიგისათვის

მინისტრები შეუდგნენ ამერიკის დელეგაციის იმ წინადადების განხილვას, რომ მინისტრების საბჭოს სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას ევროპაში საოკუპაციო ჯარების რაოდენობის შეზღუდვის საკითხი.

მარშალმა დასახა ამერიკის წინადადების პირობები და განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაციის მიერ აღძრულ საკითხს დამოკიდებულება აქვს მინისტრების საბჭოს სესიის მუშაობასთან.

მოლოტოვმა უპასუხა, რომ ამერიკის დელეგაციის წინადადება, რომელიც ჯერ კიდევ მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე აღიძრა, არ ყოფილა შეტანილი მოსკოვის სესიის დღის წესრიგში. საბჭოთა დელეგაციას ჯერჯერობით არ შეუძლია აზრი გამოსთქვას ამ საკითხზე და უფლებას იტოვებს შემდეგ გამოსთქვას აზრი ამერიკის წინადადების შესახებ.

ა. ი. ვიშინსკის მოხსენება გერმანიის საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირის შესახებ

გერმანიის საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირის შესახებ მოხსენება გააკეთა ვიშინსკიმ.

მან განაცხადა, რომ გერმანიის საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირმა განიხილა საკითხი, თუ გერმანიის საკონტროლო საბჭოს მოხსენებაში აღძრული სახელდობრ რა პრობლემები უნდა იქნას დასმული მინისტრების საბჭოს სესიის განსახილველად. მოადგილეებმა მიზანშეწონილად სცნეს რჩევა მისცენ მინისტრების საბჭოს განიხილოს შემდეგი საკითხები: 1) დემილიტარიზაცია; 2) დენაციფიკაცია; 3) დემოკრატიზაცია; 4) ეკონომიური პრინციპები; 5) რეპარაციები; 6) ადგილგადანაცვლებული პირები; 7) ტერიტორიული რეორგანიზაცია; 8) ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოების შექმნა.

მოადგილეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ მეორე და მესამე საკითხების, ე. ი. დენაციფიკაციის საკითხისა და დემოკრატიზაციის საკითხის განხილვა გაერთიანებულ იქნას. რაც შეეხება ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოების შექმნის საკითხს, მოადგილეები რჩევას აძლევენ მინისტრების საბჭოს განიხილოს ეს საკითხი დღის წესრიგის იმ პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება გერმანიაში დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმებსა და მოცულობას.

მოადგილეებმა შეიტანეს შემდეგი წინადადებანი საკონტროლო საბჭოს მოხსენების განხილვის მეთოდების შესახებ. მათ გადასწყვიტეს რჩევა მისცენ მინისტრების საბჭოს მოაწყოს საერთო დისკუსია დასახული საკითხების გამო მინისტრების საბჭოს სხდომაზე, რის შემდეგაც მოადგილეებს დაევალოს მოამზადონ წინადადებანი საკონტროლო საბჭოს მოხსენების გამო. შემდეგ ეს წინადადებანი შეტანილ უნდა იქნას მინისტრების საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

მინისტრებმა მიიღეს მოადგილეთა წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ა. ი. ვიშინსკის მოხსენებაში.

ამის შემდეგ თათბირი შეუდგა დემილიტარიზაციის საკითხის განხილვას.

ჟ. ბიდოს განცხადება

საფრანგეთის მთავრობის სახელით ჟ. ბიდომ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას მუდამ მიაჩნდა თავის ერთ-ერთ პირველი რიგის ამოცანად გერმანიის დემილიტარიზაციისა და სრული განიარაღების საკითხი. ჩემი სურვილია მოგაგონოთ ამის გამო 1945 წლის 5 ივნისის დეკლარაცია გერმანიის დამარცხების შესახებ, აგრეთვე ის ფაქტი, რომ უფრო გვიან, 1945 წლის აგვისტოში, საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი შეუერთდა სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. 1946 წლის ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე საფრანგეთის მთავრობამ განცხადება გააკეთა, რომ იგი მზად არის სრული მონაწილეობა მიიღოს და სავსებით შეუწყოს ხელი ყოველ ღონისძიებას, რომელთა მიზანიც იქნება გერმანიის დემილიტარიზაციისა და სრული განიარაღების განხორციელება, სწორედ ისევე, როგორც გერმანიის მრეწველობის ყველა იმ დარგისადმი კონტროლის დაწესება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო მიზნებისათვის.

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად აუცილებელია, რომ გერმანიას საბოლოოდ მოესპოს შესაძლებლობა კვლავ შეიარაღდეს და აგრესიული ქვეყანა გახდეს. ამიტომ გერმანიაში მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მოხსენების ის თავი, რომელიც დემილიტარიზაციის საკითხს შეეხება, ჩვენი სრული ყურადღების ღირსია.

ჩვენ ფრიად კმაყოფილი ვართ, რადგან შეგვიძლია ამ მოხსენებაში აღვნიშნოთ, რომ გერმანიის არმია აღარ არსებობს. მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მოხსენებიდან აგრეთვე აშკარაა, რომ გერმანიის არმიის სამხედრო მასალისა და სამხედრო საჭურვლის უმეტესი ნაწილი უკვე მოსპობილია ან მალე იქნება მოსპობილი. მაგრამ რჩება ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი სამხედრო პოტენციალის შესახებ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გერმანიის განიარაღება არ შეიძლება სრული იყოს, თუ ამ მხრივ ყველა საჭირო ზომა არ იქნა მიღებული.

როგორც მოხსენება ცხადჰყოფს, ბევრი რამ უკვე გაკეთდა სამხედრო საჭურვლის ფაბრიკა-ქარხნების მოსასპობად. საჭიროა ამ ამოცანის ბოლომდე მიყვანა. მაგრამ ამასთან დაკავშირებულია სხვა საკითხი, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვანი და დიდია, სახელდობრ საკითხი მრეწველობის დონის შესახებ. მეტად ძნელია განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ისეთი ქარხნები, რომლებსაც მხოლოდმხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა აქვს, და ისეთები, რომლებსაც თუმცა მხოლოდმხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო მიზნებისათვის. ეს საკითხი მთელი აუცილებელი ყურადღებით უნდა განვიხილოთ, როცა შევუდგებით მოხსენების იმ თავის განხილვას, რომელიც ეკონომიურ პრობლემებს ეხება.

ბიდოს განცხადების შემდეგ განცხადება გააკეთა ბევინმა. ბევინმა შენიშნა, რომ ბრიტანეთის დელეგაცია ვერ ხედავს იმის საჭიროებას, რომ დაიწყოს გერმანიის საკონტროლო საბჭოს მოხსენების განხილვა. ამასთანავე ბევინმა სთქვა, რომ ბრიტანეთის მთავრობა იცავს სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ცდილობს საქმით შეასრულოს ისინი.

შემდეგ ამხ. მოლოტოვმა გააკეთა განცხადება, თუ რა პოზიცია უკავია საბჭოთა მთავრობას გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხში.

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

1. ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ გერმანიის სრულ განიარაღებასა და დემილიტარიზაციას და მისი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციას. საწარმოო სიმძლავრენი, რომლებიც საჭირო არ არის იმ სამშვიდობო მრეწველობის განვითარებისათვის, რაც გერმანიას ნებადართული ექნება, ან ამოღებულ უნდა იქნას სარეპარაციო გეგმის შესაბამისად, ან, თუ ამოღებულ არ იქნა, უნდა მოისპოს.

ეჭვი არ არის, რომ გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ მოკავშირე სახელმწიფოების ამ საერთო გადაწყვეტილებათა შესრულება განეკუთვნება მოკავშირეთა იმ პოლიტიკის საფუძვლებს, რომლის მიზანია უზრუნველჰყოს მსოფლიო გერმანიის მხრივ შესაძლო აგრესიისაგან და გადააქციოს გერმანია მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ეს მიზანი შეესაბამება მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ინტერესებს.

2. გერმანიის კაპიტულაციის მომენტიდან თითქმის ორი წელიწადი გავიდა. გერმანიის არმიამ იარაღი დაჰყარა და როგორც ასეთი აღარ არსებობს. ამის გამო ამჟამად გერმანიის დემილიტარიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციას იმ ანგარიშით, რომ გერმანიას, დარჩება რა იგი როგორც დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელსაც სოფლის მეურნეობასთან ერთად ექნება თავისი მრეწველობა და საგარეო ვაჭრობა, მოესპოს იმის სამეურნეო და სამხედრო შესაძლებლობა, რომ კვლავ აღსდგეს როგორც აგრესიული ძალა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის მთავარი ბაზა დასავლეთ გერმანიის ოლქებშია, უწინარეს ყოვლისა რურის სამრეწველო რაიონში, რის გამო დასავლეთ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო განიარაღების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გერმანიის დემილიტარიზაციისათვის. ამავე დროს კი, ისეთი გიგანტი ქარხნები, შექმნილი სპეციალურად აგრესიის მიზნებისათვის, როგორიცაა გერმან გერინგის, კრუპის, რობერტ ბოშის, ი. გ. ფარბენინდუსტრის და სხვა ქარხნები, რომლებიც ტრესტების, კარტელებისა და სხვა სამრეწველო მონოპოლიების საფუძველს შეადგენდნენ, ხელუხლებელია დასავლეთ გერმანიაში ანდა განკუთვნილია მხოლოდ ნაწილობრივ ამოსაღებად, რაც ჰქმნის მათი წინანდელი სამხედრო სიმძლავრისა და მნიშვნელობის სწრაფი აღდგენის წინაპირობებს. მონოპოლისტურ ორგანიზაციებად ამ საწარმოთა გაერთიანებამ გააადვილა ჰიტლერული აგრესია, ხოლო ამ მონოპოლიათა დატოვება საფრთხეს წარმოადგენს მომავლისთვისაც. უნდა ვაღიაროთ, რომ გერმანიის დასავლეთ ზონებში სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაცია ჯერ თითქმის არ დაწყებულა, თუ არ ვიანგარიშებთ ცალკეულ დაქსაქსულ ღონისძიებებს, რომელთა გატარება ფაქტიურად გავლენას არ ახდენს დასავლეთი ზონების სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის მდგომარეობაზე. ბრიტანეთის სარდლობის 1947 წლის 1 იანვრის ანგარიშის ოფიციალური ცნობებით ბრიტანეთის ზონაში მდებარე და სპეციალურად შეიარაღების წარმოებისათვის აგებული სატანკო, საავიაციო, საარტილერიო და სხვა სამხედრო ქარხნების საერთო რაოდენობიდან, დღემდე ლიკვიდირებულია საწარმოთა მხოლოდ 7 პროცენტი. რაღაც „სამხედრო ქარხნების ნეიტრალიზაციის" დამოწმება, რომელიც გვხვდება ბრიტანეთის, ამერიკისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფალთა ანგარიშებში, არ შეიძლება ჩაითვალოს სამხედრო ქარხნების ლიკვიდაციის სრულიად უმნიშვნელო მოცულობის გამართლებად. ეს ქარხნები ფაქტიურად ახლაც დატოვებულია როგორც სამხედრო ქარხნები. თავისთავად გასაგებია, რომ ეგრეთწოდებულ „ნეიტრალიზაციას" არ შეიძლება არავითარი მნიშვნელობა ჰქონდეს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციის საქმეში, თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებები არავითარ „ნეიტრალიზაციას", როგორც სამხედრო პოტენციალის ლიკვიდაციის საშუალებას, არ ითვალისწინებენ.

1947 წლის 1 იანვრისათვის საკონტროლო საბჭოს ორგანოებს განსახილველად წარუდგინეს დასავლეთის სამ ზონაში 1.554 ქარხნის სია, რომელთა კაპიტალური და სამრეწველო მოწყობილობა ამოღებულ უნდა იქნას რეპარაციების ანგარიშში, ვინაიდან მას დამოკიდებულება აქვს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალთან. მაგრამ მოწყობილობის მთლიანად ამოღება ამ დროისათვის დამთავრდა მხოლოდ სამ ქარხანაში, ხოლო 37 ქარხანაში მოწყობილობის ამოღება დღემდე დამთავრებული არ არის.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპაციის საბჭოთა ზონაში 733 საწარმოდან, რომლებიც ეკუთვნიან სამხედრო მრეწველობას და ინდუსტრიის სხვა აკრძალულ დარგებს, რეპარაციების ანგარიშში ამოღებული და დემონტირებულია 676 საწარმო.

1947 წლის იანვარში სამოკავშირეთაშორისო ოთხმხრივმა კომისიებმა, რომლებიც საკონტროლო საბჭომ შექმნა სამხედრო ქარხნების ლიკვიდაციის ხარისხის შემოწმების მიზნით, ინახულეს გერმანიის ოკუპაციის ყველა ზონა. არჩევით შემოწმდა 30 სამხედრო ქარხანა, აქედან 9 საბჭოთა ზონაში და შვიდ-შვიდი — ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ზონებში. კომისიებმა აღნიშნეს უდიდესი ნაკლოვანებანი დასავლეთ ზონებში სამხედრო ქარხნების ლიკვიდაციის სამუშაოთა ორგანიზაციასა და ჩატარებაში და დაადასტურეს, რომ იქ ცალკეული ქარხნების დაშლილი მოწყობილობის მტაცებლობის შემთხვევებია.

3. საბჭოთა დელეგაცია ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე 1946 წლის ივლისში, მტკიცედ მოითხოვდა გერმანიის მრეწველობის იმ დარგების ლიკვიდაციის გეგმის უსწრაფესად შედგენასა და ამ ლიკვიდაციის წესის დადგენას, რომლებიც აგრესიული გერმანიის სამხედრო-ეკონომიურ ბაზას წარმოადგენდნენ, და უდიდესი რაოდენობით ამზადებდნენ შეიარაღებას გერმანიის არმიისათვის. საბჭოთა წარმომადგენლების ინიციატივით საკონტროლო საბჭომ 1946 წლის 2 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება ასეთი გეგმის შედგენის შესახებ მთელი გერმანიისათვის უახლოესი 1-2 თვის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ზონების საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ საწარმოთა საჭირო სიების წარმოუდგენლობის გამო არავითარი გეგმა დღემდე შედგენილი არ არის. არ არსებობს არავითარი გეგმა ისეთი უდიდესი ქიმიური კონცერნის საწარმოთა ლიკვიდაციის შესახებ, როგორიც არის ი. გ. ფარბენინდუსტრი, რომელიც, როგორც ეს საკონტროლო საბჭომ სცნო, აქტიურად უწევდა დიდ დახმარებას გერმანიის სამხედრო პოტენციალის დამყარებასა და შენარჩუნებას და რომლის ლიკვიდაციის შესახებ იყო საკონტროლო საბჭოს 1945 წლის 30 ნოემბრის სპეციალური გადაწყვეტილება.

4. საკონტროლო საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დირექტივები, რომლებიც ეხებოდნენ გერმანიის ყოფილი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის განიარაღებასა და დაშლას, მთლიანად არ არის შესრულებული. საკონტროლო საბჭოს 1946 წლის 20 აგვისტოს № 34 კანონის პირველ მუხლში გათვალისწინებული იყო რომ „გერმანიის ყველა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები, მთელი მათი ორგანიზაციებით, შტაბებითა და ინსტიტუტებით, გენერალური შტაბის, ოფიცერთა კორპუსის, რეზერვისტთა კორპუსის, სამხედრო სკოლების, ომის ვეტერანთა ორგანიზაციის და სხვა სამხედრო და ნახევრად სამხედრო ორგანიზაციების ჩათვლით მათი შტაბებით და ასოციაციებით, რომელთა დანიშნულება იყო გერმანიის სამხედრო ტრადიციების დაცვა, ითვლებიან დათხოვნილად და სავსებით ლიკვიდირებულად".

მიუხედავად ამისა, ინგლისისა და ამერიკის საოკუპაციო ძალების სარდალთა განკარგულებაში კვლავ რჩება დაუშლელი გერმანული ნაწილები და სამსახურები, რომლებიც წინათ ეკუთვნოდნენ გერმანიის სახმელეთო ძალების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ფლოტების შემადგენლობას. ეს ეგრეთწოდებული „მომსახურების ნაწილები" ინარჩუნებენ სამხედრო ორგანიზაციებს, ამასთან მათ მეთაურობენ გერმანელი ოფიცრები, რომლებიც სარგებლობენ დისციპლინარული უფლებებით, რაც ხელს უწყობს გერმანიის არმიის კადრების შენარჩუნებას. ინგლისისა და ამერიკის სარდლობის ოფიციალური ანგარიშებით 1947 წლის 1 იანვრისათვის იმ გერმანული ნაწილების რიცხვი, რომლებიც შენარჩუნებულია როგორც მომსახურე ჯგუფები და სამსახურები, შეადგენდა: ინგლისის სარდლობის განკარგულებაში — 81.358 კაცს და ამერიკის სარდლობის განკარგულებაში 9 ათასამდე კაცს.

ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებებს.

5. გერმანულ სამხედრო ფორმირებებთან ერთად გერმანიის ოკუპაციის ბრიტანულ და ამერიკულ ზონებში დაუშლელი რჩება სამხედრო ნაწილები, რომლებიც შედგენილია არაგერმანელი ეროვნების პირთაგან და რომლებიც კანონის მიხედვით დათხოვნილ და რეპატრიირებულ უნდა იქნან. მათ რიცხვში არიან ჩეტნიკები, უსტაშები, სალაშისტები, ეგრეთწოდებული „იუგოსლავიის სამეფო არმია", აგრეთვე გენერალ ანდერსის ნაწილები, ბენდეროველთა ტერორისტული ორგანიზაციები და სხვა.

ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებებს.

6. ზემოაღნიშნულის გამო არის წინადადება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ საკონტროლო საბჭოს დაავალოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1) 1947 წლის 1 ივლისისათვის შეიმუშაოს გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციის გეგმა, დააწესოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციის სამუშაოთა დამთავრების ვადა არა უგვიანეს 1948 წლის დამლევისა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ კარტელებისა და ტრესტების ლიკვიდაციას, რომლებიც აერთიანებენ გერმანიის სამხედრო პოტენციალთან დაკავშირებულ საწარმოებს.

2) დააჩქაროს სამუშაოთა ჩატარება გერმანიის სამხედრო მასალის მოსპობისათვის და გერმანიის ტერიტორიაზე ყველა სამხედრო ობიექტის დანგრევისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ომის საწარმოებლად ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაოები მთლიანად დამთავრდეს 1949 წლის დამლევისათვის.

3) 1947 წლის 1 ივნისისათვის მთლიანად დაშალოს და ლიკვიდაცია უყოს ყველა დარჩენილ გერმანულ სამხედრო ფორმირებას მომსახურე ნაწილების ჩათვლით.

4) დაშალოს და მთლიანად გააუქმოს ყველა დარჩენილი და ახლადშექმნილი ნაწილები, შტაბები, დაცვის სამსახურები და სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე სასწავლო შესაკრები ბანაკები, რომლებიც შექმნილია არაგერმანელი ეროვნების პირთაგან და რომლებიც საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებით დაშლილ და რეპატრიირებულ უნდა იქნან.

დ. მარშალის განცხადება

მარშალმა განაცხადა, რომ გერმანიაში არსებული საკონტროლო საბჭოს მოხსენება აკმაყოფილებს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას.

მან სთქვა, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები მეტწილად დაშლილია, ხოლო გერმანული სამხედრო მასალები ლიკვიდირებულია; გერმანიის თავდაცვითი ნაგებობანი მეტწილად მოსპობილია; მისი მეცნიერული გამოკვლევანი სამხედრო მიზნებისათვის ეფექტიანად აკრძალულია; გერმანიის სამხედრო და ინდუსტრიული პოტენციალი იმ ოდენობით, რამდენადაც ეს შეეხება სამხედრო წარმოებას, მნიშვნელოვანწილად უკვე ლიკვიდირებულია. ეს ამოცანა უახლოეს ხანში უნდა დამთავრდეს.

მაგრამ არის კიდევ ერთი დარგი, განაგრძო მარშალმა, რომელშიც პროგრესი არ არის ძირეული. ეს შეეხება ინდუსტრიული სამხედრო პოტენციალის შემცირების მიზნით საერთო მრეწველობის შემცირებას. ეს საკითხი დაკავშირებულია სხვა ქარხნებთან, გარდა სამხედრო ქარხნებისა, რომელთა ამოღება გათვალისწინებულია პოტსდამის შეთანხმებით. მარშალის სიტყვით, ეს საკითხი გადაწყდება, როცა დასახული იქნება ერთიანი ეკონომიური მიზნები ბერლინის კონფერენციის მითითებათა შესაბამისად.

მარშალმა კმაყოფილება გამოსთქვა მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მუშაობით გერმანიის სამხედრო პოტენციალის სალიკვიდაციოდ ოთხივე ზონაში და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მხედველობაში მიიღო მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მოხსენება დემილიტარიზაციის საკითხზე და იმ არსებითი წარმატებების შესახებ, რომლებიც მიღწეულია ამ დარგში ოთხივე ზონაში. საბჭო მითითებას აძლევს მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს დაუყოვნებლივ შეუდგეს სრულ დემილიტარიზაციას ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებისა და იმ შეთანხმებების შესაბამისად, რომლებიც მიღწეულია მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მიერ მისი შემდგომი საქმიანობის მხრივ.

ე. ბევინის გამოსვლა

ე. ბევინმა განაცხადა, რომ მას წინასწარ სურს შეისწავლოს ვ. მ. მოლოტოვის მიერ გაკეთებული განცხადება, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი.

ბევინი ამტკიცებდა, რომ გერმანული სამხედრო ფორმირებანი, რომლებიც დარჩენილია ოკუპაციის ბრიტანულ ზონაში, დაშლილ იქნება როგორც კი ისინი დაამთავრებენ მუშაობას და იმ ამოცანას, რომელსაც ისინი ასრულებენ ახლა განნაღმვის საქმეში. ამით ბევინმა კვლავ აღიარა ბრიტანულ ზონაში გერმანულ ფორმირებათა არსებობის ფაქტი.

— მე მსურს მტკიცედ განვაცხადო, რომ საჭიროა გერმანული პერსონალი დავტოვოთ იმ გემებზე, რომლებიც ახდენენ გერმანიის ნაღმების ტრალირებას, — სთქვა ე. ბევინმა. — იგივე შეეხება განნაღმვის სამუშაოებს ხმელეთზე. როგორც კი ეს ამოცანა შესრულდება, ეს ხალხი დათხოვნილ იქნება. რაც შეეხება მათი დათხოვნის ზუსტ დროს, — მე არ შემიძლია ამის თქმა, თუ არ გავიგე ექსპერტთა აზრი ამ საკითხზე. ბევინმა დაიმოწმა ის, რომ ბრიტანეთის მთავრობამ უკვე არაერთგზის განაცხადა გერმანულ ფორმირებათა მომავალი დაშლის შესახებ და გაილაშქრა იმ შენიშვნების წინააღმდეგ, რომლებსაც ამ საკითხის შესახებ შეიცავს საბჭოთა დელეგაციის განცხადება. მან განაცხადა, რომ მინისტრების საბჭოს წარუდგენს სპეციალურ დოკუმენტს ამ საკითხზე.

ბევინმა აგრეთვე გაილაშქრა საბჭოთა დელეგაციის იმ შენიშვნათა წინააღმდეგ, რომლებიც შეეხება ოკუპაციის დასავლეთ ზონებში იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების ყოფილ სამხედრო ფორმირებათა შენარჩუნებას. ბევინის მტკიცებით, ამ საკითხის დაყენება დაკავშირებულია ამ ადამიანების სამშობლოში იძულებით გადასახლებასთან. ბრიტანეთის მთავრობა ამას ვერ დაეთანხმება. ბევინმა აგრეთვე განაცხადა, რომ იუგოსლავიისა და სხვა სამხედრო ფორმირებათა რიცხვი ბრიტანულ ზონაში ამჟამად შემცირდა 8 ათასი კაცით. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ფორმირებათა შემადგენლობის უმრავლესობა „ჩარიცხულია ადგილგადანაცვლებულ პირებად".

დასასრულ ბევინმა განაცხადა, რომ სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებანი დემილიტარიზაციის შესახებ „დამაკმაყოფილებლად სრულდება".

შემდეგ გამოვიდა ვ. მ. მოლოტოვი და სთქვა, რომ საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია შეუერთდეს გერმანიის დემილიტარიზაციისა და განიარაღების მდგომარეობის ოპტიმისტურ შეფასებას, რაც ზოგიერთმა მისმა კოლეგამ გამოსთქვა. საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია ყურადღებით აწონილდაწონილ იქნას ფაქტები და უფრო ზუსტად გამოირკვეს საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

მოლოტოვი შეეხო ბევინის გამოსვლას და აღნიშნა, რომ არავინ არის წინააღმდეგი გამოყენებულ იქნან გერმანელები განნაღმვისათვის. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ, რომ ამისათვის სასარგებლოა სამხედრო ტიპის ფორმირებათა შენარჩუნება გერმანელთაგან გერმანელი ოფიცრების მეთაურობით. ამასთანავე მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ყველა ზონაში—ამერიკის, საბჭოთა და საფრანგეთის ზონებში — განნაღმვა დამთავრებულია და მხოლოდ ბრიტანეთის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

(გაგრძელება)

ზონაში არ დამთავრებულა. აქედან სრულიადაც არ გამოდის, რომ საჭირო გერმანელთაგან შემდგარ სამხედრო ფორმირებათა შენარჩუნება 80 ათასზე მეტი კაცის რაოდენობით.

ვ. მ. მოლოტოვმა დამსწრეთ აგრეთვე მოაგონა, რომ ზოგიერთ ზონაში დღემდე შენარჩუნებულია სამხედრო ტიპის ფორმირებანი არაგერმანელი ეროვნების პირთაგან, — ჩეტნიკების, უსტაშების, სალაშისტების, ე. წ. იუგოსლავიის სამეფო არმიის, ანდერსის ნაწილების, უკრაინელ ჰიტლერელთა—ბენდეროველთა ტერორისტული ორგანიზაციის ფორმირებანი. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლეოდა და იძლევა დაშლილ იქნას ეს სამხედრო ნაწილები და წაერთვათ ის პრივილეგიები, რომლებიც მათ ზოგიერთ შემთხვევაში ეძლევათ.

ბიდომ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობის აზრით, გერმანიის სამხედრო პოტენციალის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის ზონაში შედგენილია სამხედრო ქარხნებისა და აკრძალული მრეწველობის საწარმოთა სრული სია. მან სურვილი გამოსთქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებმა გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხის განხილვისას, როცა განიხილავენ საბჭოთა და ამერიკის დელეგაციების მიერ შეტანილ წინადადებებს, მხედველობაში მიიღონ აგრეთვე საფრანგეთის წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია გერმანიაში არსებული მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მოხსენებაში.

შემდეგ ბევინმა განაცხადა, რომ განსახილველ საკითხში ერთ-ერთ ყველაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს... რაიმე ზუსტი განსაზღვრის უქონლობა — თუ რა წარმოადგენს სამხედრო პოტენციალს. მან განაცხადა, თითქოს შეუძლებელია განისაზღვროს, რომელი ქარხანა ეკუთვნის სამშვიდობო მრეწველობას და რომელი სამხედროს. საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ დემილიტარიზაციის საკითხის შემდგომი განხილვა გადასდონ ხვალისათვის, როცა ბევინი შეიტანს ინგლისის დელეგაციის წინადადებებს.

ავსტრიაში გერმანიის აქტივების საკითხთა კომიტეტის სხდომა

11 მარტს სალამოს შესდგა ავსტრიაში გერმანიის აქტივების საკითხთა კომიტეტის სხდომა, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს მასალების მომზადება ავსტრიის საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირისათვის.

სხდომა ჩატარდა საბჭოთა წარმომადგენლის გერაშჩენკოს თავმჯდომარეობით და მიეძღვნა იმ წინადადების გაცნობას, რომელიც ამ საკითხზე შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ. კომიტეტის შემდეგი სხდომა მიეძღვნება საფრანგეთის წინადადების განხილვას. (საკდესი).

12 მარტის სხდომა

12 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში გრძელდებოდა გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხის განხილვა. სხდომა მიმდინარეობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჟ. ბიდოს თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე განცხადებით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ბევინი.

ბევინის განცხადება

ბევინმა განაცხადა, რომ არსებობს ამ საკითხის ორი ასპექტი — ადამიანთა ასპექტი და მატერიალური ასპექტი. შეეხო რა გუშინ ვ. მ. მოლოტოვის მიერ მოყვანილ ცნობებს ბრიტანეთისა და ამერიკის საოკუპაციო ზონებში გერმანულ სამხედრო ფორმირებათა არსებობის შესახებ, ბევინმა აღიარა, რომ ეს ფორმირებანი არსებობენ, მაგრამ არ სცნობდა მათ სამხედრო ხასიათს. მან სთქვა, რომ მათს შემადგენლობაში შემავალი ადამიანები ახლა „ატარებენ ფორმას, რომელიც მუშათა კორპუსს შეეფერება", რომ მათ იყენებენ „საწარმოო სამუშაოთათვის", როგორიც არის ტრალირება და განნაღმვა. ამავე დროს ბევინმა აღიარა, რომ მათთვის საჭირო გახდა „გარკვეული ორგანიზაცია, რათა ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი ავტორიტეტით სარგებლობდეს სხვებს შორის". დასასრულ, ბევინმა სთქვა, რომ ეს „მუშათა ჯგუფები" მუშაობენ ბრიტანეთის ფორმირებებთან ერთად და ოფიცრების მეთვალყურეობით. ბოლოს მან განაცხადა, საერთოდ „ეს საკითხი მნიშვნელოვანი არ არისო".

ასეთი შეფასება რამდენადმე მოულოდნელი იყო, ვინაიდან თვითონ ბევინმა სთქვა, რომ ამ სამხედრო ფორმირებებში, რაც მან წარმოადგინა როგორც „მუშათა კორპუსები", 81 ათასი კაცია, რომლებიც წინათ ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდნენ.

ასევე არადამაჯერებელი იყო ბევინის განმარტება იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის საოკუპაციო ზონაში მყოფი „იუგოსლავიის სამეფო არმია" გადაყვანილია „ადგილგადანაცვლებულ პირთა" მდგომარეობაში. მან ჯერ სთქვა, ეს არმია დაშლილიაო, შემდეგ დაუმატა, რომ ამ არმიის ჯარისკაცები საყარაულო სამსახურს ეწევიან, როგორც „დარაჯთა ნამდვილი რაზმი", და ბოლოს, განაცხადა, როცა ისინი სამსახურში იმყოფებიან, — თოფები აქვთო.

ბევინი აშკარად გრძნობდა თავისი პოზიციის სისუსტეს და ამიტომ სცადა სხვა მიმართულება მიეცა მსჯელობისათვის იმით, რომ მოულოდნელად წამოაყენა საკითხი... გერმანელ სამხედრო ტყვეთა ბედის შესახებ. იგი არ მოერიდა იმას, რომ მინისტრების საბჭოს მაგიდასთან მოიყვანა დიდი ხნის წინათ გაბათილებული უაზრო ხმები იმის შესახებ, თითქოს სამხედრო ტყვე გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები სამსახურში შედიან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. იქვე ბევინმა უხეიროდ სცადა გაემართლებინა ოკუპაციის დასავლეთ ზონებში სამხედრო პოტენციალის მოსასპობად მიღებული აშკარად არასაკმაო ზომები იმის მომიზეზებით, რომ გაურკვეველი რჩება საბჭოთა სამხედრო ხელისუფალთა პასუხი საბჭოთა ზონაში დარჩენილი გერმანიის იმ ხომალდების უმნიშვნელო ნაწილის საბოლოო მოსპობის საკითხზე, რომლებიც ომის დროს ინგლის-ამერიკის ავიაციამ დააზიანა.

ბევინი შეეხო სამხედრო პოტენციალის მოსპობის საკითხს და გაიმეორა თავისი გუშინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ საერთოდ ძნელია იმის თქმა, თუ რას წარმოადგენს სამხედრო პოტენციალი — სად მთავრდება „სამშვიდობო პოტენციალი" და სად იწყება „სამხედრო პოტენციალი". მან განაცხადა, ბრიტანეთის სამხედრო ადმინისტრაციამ რურის ძირითად ინდუსტრიაზე ზონის სარდლის კონტროლი დააწესაო, და აღნიშნა, რომ ამ ზონაში ხორციელდება კანონი დეკარტელიზაციის შესახებ. მაგრამ ცნობილია, რომ თვით დიდ ბრიტანეთში საზოგადოებრივი აზრი მეტად სკეპტიკურ შეფასებას აძლევს ამ დეკარტელიზაციას, რადგან მისი განხორციელება მინდობილი აქვს ცნობილ ჰიტლერელებს. სულ ამ რამდენიმე დღის წინათ ბრიტანეთის პარლამენტში ამ დეკარტელიზაციას რეკარტელიზაციას უწოდებდნენ.

ბევინი იძულებული იყო დათანხმებოდა ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ ოკუპაციის დასავლეთი ზონებიდან ამოღებულია სამხედრო-ინდუსტრიული მოწყობილობის სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა, იმასთან შედარებით, რაც განხორციელებულია საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. მაგრამ ამ ფაქტებიდან მან გამოიტანა სრულიად მოულოდნელი დასკვნა. ბევინმა გაიმეორა საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ გერმანია განხილულ უნდა იქნას როგორც მთლიანი ეკონომიური ერთეული, და სთქვა, რომ დასავლეთი ზონებიდან სამხედრო-ინდუსტრიული მოწყობილობის ამოღება არ შეიძლება მანამდე, სანამ მიღებული არ იქნება სრული ანგარიში იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა იქნა ამოღებული ოკუპაციის საბჭოთა ზონიდანო.

თავისი სიტყვის დასასრულს ბევინმა განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია იმისა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ რაიმე დირექტივები მისცეს გერმანიაში არსებულ მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს დემილიტარიზაციის საკითხზე მანამდე, „სანამ არ იქნება საერთო შეთანხმებული აზრი" ამ საბჭოს მოხსენების ყველა კარის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა მარშალი, რომელიც დაკმაყოფილდა განცხადებით, ამერიკის დელეგაცია ბევინის განცხადებას ეთანხმებაო.

თავის გამოსვლაში ბიდომ მოაგონა სხდომას, რომ საფრანგეთის დელეგაცია უკვე აღნიშნავდა, რომ დემილიტარიზაციის საკითხი დაკავშირებულია სამხედრო პოტენციალისა და გერმანიის მრეწველობის დონის საკითხთან. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაცია ერთმანეთში არ ურევს ამ ორ პრობლემას. ბიდომ აღნიშნა განსხვავება ომის საჭიროებისათვის მომსახურების გამწევ სამხედრო მრეწველობასა და სამშვიდობო მიზნებისათვის მომსახურების გამწევ მრეწველობას შორის. მან წინადადება წამოაყენა ახლავე გადაეცეს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირს განსახილველად საკითხი გერმანიის სამხედრო მრეწველობის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა ვ. მ. მოლოტოვი.

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა

ბევინისათვის პასუხის გასაცემად გამოვიდა ვ. მ. მოლოტოვი. მან აღნიშნა, რომ ბევინმა არსებითად აღიარა ბრიტანეთის ზონაში სამხედრო ტიპის ფორმირებათა არსებობა, რომლებიც შესდგებიან ჰიტლერული არმიის ყოფილ ჯარისკაცთა და ოფიცერთაგან და არაგერმანელი ეროვნების პირთაგან—ეგრეთწოდებული „იუგოსლავიის სამეფო არმიისაგან", ანდერსის ნაწილებისაგან, აგრეთვე ჩეტნიკების, სალაშისტების, ბენდეროველებისა და სხვათა ნაშთებისაგან. ვ. მ. მოლოტოვმა დააყენა კითხვა: „რისთვის სტოვებენ ამ ფორმირებებს? განა გასაგები არ არის, რომ ისინი მხოლოდ ატმოსფეროს სწამლავენ? დროა გაუქმდეს მთელი ეს ჯერ კიდევ დატოვებული ნახევრადსამხედრო ნაწილები, შტაბები, დაცვის სამსახური და სხვა ორგანიზაციები და „გაიწმინდოს ჰაერი" მათგან".

ვ. მ. მოლოტოვი შეეხო ბევინის მსჯელობას საბჭოთა კავშირში მყოფი გერმანელი სამხედრო ტყვეების და საბჭოთა საოკუპაციო ზონაში დარჩენილი გერმანიის ზოგიერთი სამხედრო-საზღვაო ხომალდის ბედის შესახებ და დამაჯერებლად ცხადჰყო ამ მსჯელობის უსუსურობა და უნიადაგობა.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა მოიყვანა ციტატი ბრიტანეთის და ამერიკის წარმომადგენლთა იმ განცხადებიდან, რომელსაც შეიცავს საკონტროლო საბჭოს მოხსენების კარი „დემილიტარიზაცია". ეს განცხადება შეიცავს მითითებას ამერიკული პრესის მტკიცებაზე იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თითქოს სამ მილიონამდე სამხედრო ტყვე გერმანელია, აგრეთვე მითითებას იმ ხმებზე, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თითქოს კვლავ არსებობს „ზაიდლიცის არმია".

უნდა გამოვტყდე, უხერხულობას ვგრძნობ იმ ამერიკელი და ბრიტანელი წარმომადგენლების მაგიერ, რომლებმაც მოხსენებაში ეს სიტყვები ჩასწერეს, — შენიშნა ვ. მ. მოლოტოვმა. — მით უფრო უხერხულობას ვგრძნობ, რომ ამერიკელ და ბრიტანელ წარმომადგენელთა განცხადება ჩაწერილია საკონტროლო საბჭოს მოხსენებაში, მიუხედავად იმისა, რომ მარშალმა სოკოლოვსკიმ საკონტროლო საბჭოს იმავე 10 თებერვლის სხდომაზე გააბათილა ეს განცხადებანი.

ამბობენ, ეს იმიტომ ჩაიწერა მოხსენებაში, რომ ასეთი ხმები დადისო. მაგრამ ხმების რა გამავრცელებლებზე მიუთითებთ, თუ თვითონ ჩვენ ვავრცელებთ ასეთ უაზრო ხმებს და ვბეჭდავთ ასეთ აბდაუბდას ჩვენს ანგარიშებში?

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი არ არის იმისა, რომ დღესვე წარუდგინოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ცნობები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მყოფ სამხედრო ტყვე გერმანელთა რაოდენობის შესახებ. საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ამავე დროს ასეთივე ცნობები უნდა წარმოადგინონ ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის მთავრობებმაც მათს ქვეყნებში და მათს მმართველობაში არსებულ ტერიტორიებზე მყოფი სამხედრო ტყვე გერმანელების შესახებ.

— დღეს ბ-ნი ბევინი ამტკიცებდა, როგორც მე გავიგე, — განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, — რომ არ შეიძლება სამხედრო პოტენციალისა და მისი ლიკვიდაციის საკითხი განვიხილოთ გერმანიის ეკონომიური ერთიანობის საკითხისაგან განცალკევებულად. მე არ შემიძლია ამას დავეთანხმო. უფრო სწორია ის თვალსაზრისი, რომელიც გამოსთქვა ბ-ნმა ბიდომ. ბუნებრივია, არსებობს კავშირი მრეწველობის ყველა დარგს შორის — სამშვიდობო მიზნებისათვის მომსახურების გამწევ მრეწველობასა და იმ მრეწველობას შორის, რომელიც დღეს სამშვიდობოა, ომის დროს კი შეუძლია სამხედრო საჭიროებას ემსახუროს. მაგრამ სწორი არ იქნება ჩავთვალოთ, რომ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ გერმანიის სამხედრო პოტენციალის ლიკვიდაციაზე, სანამ არ განვიხილავთ ყველა ეკონომიურ საკითხს, მათ შორის გერმანიის ეკონომიური ერთიანობის პრობლემას.

საბჭოთა დელეგაცია თანახმაა, რომ ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რათა უზრუნველვყოთ გერმანიის ეკონომიური ერთიანობა, მაგრამ ეს გერმანიის დემილიტარიზაციისა და მისი სამხედრო პოტენციალის ლიკვიდაციის საკითხის გადადების საბაბი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში როგორ შეიძლება აიხსნას ასეთი მდგომარეობა: დასავლეთ ზონებში საკონტროლო საბჭომ სალიკვიდაციოდ დასახა 1.554 ქარხანა, რომლებიც გერმანიის სამხედრო პოტენციალს მიეკუთვნა, მოწყობილობა კი ფაქტიურად ამოღებულია მხოლოდ სამი სამხედრო ქარხნიდან, ხოლო ამავე დროს საბჭოთა ზონაში დემონტირებულია აკრძალული მრეწველობის 676 სამხედრო და სხვა საწარმო.

ბევინმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა გადაისინჯოს გერმანიის მრეწველობის ის დონე, რაც საკონტროლო საბჭომ გასული წლის მარტში დააწესა. საბჭოთა მთავრობა სავსებით უჭერს მხარს ამ წინადადებას.

— ჯერ კიდევ გასული წლის 10 ივლისს, — სთქვა ვ. მ. მოლოტოვმა,—მე გამოვთქვი საბჭოთა მთავრობის შემდეგი თვალსაზრისი ამ საკითხზე: „გერმანიის სამშვიდობო მრეწველობას უნდა მიეცეს უფრო ფართო განვითარების შესაძლებლობა, მხოლოდ ეს სამრეწველო განვითარება უნდა წარიმართოს გერმანელი ხალხის სამშვიდობო საჭიროებათა უზრუნველსაყოფად და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განსავითარებლად. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ დაწესდეს ჯეროვანი სამოკავშირეთაშორისო კონტროლი გერმანიის მრეწველობაზე და, კერძოდ, რურის მრეწველობაზე, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა არ შეიძლება ეკისრებოდეს მხოლოდ ერთ რომელიმე მოკავშირე ქვეყანას. გერმანიის სამშვიდობო მრეწველობის განვითარების სათანადო პროგრამის მიღება, რომელიც გერმანიის საგარეო ვაჭრობის განვითარებასაც გაითვალისწინებს, აგრეთვე მთელი გერმანიის მრეწველობაზე სამოკავშირეთაშორისო კონტროლის დაწესება შეესაბამება იმის აუცილებლობას, რომ შესრულდეს ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ გერმანია განხილულ იქნას როგორც მთლიანი ეკონომიური ერთეული".

მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის მრეწველობის განვითარების დონისა და გერმანიის ეკონომიური ერთიანობის უზრუნველყოფის საკითხს და აღნიშნა, რომ გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხის გადადება სწორი არ იქნებოდა. „გერმანიის დემილიტარიზაციით დაინტერესებულია არა მარტო საბჭოთა კავშირი, — შენიშნა მან, — ევროპის სხვა ქვეყნები ამით საბჭოთა კავშირზე ნაკლებად როდი არიან დაინტერესებულნი. არ არსებობს საფუძველი გადაიდოს დემილიტარიზაციის საკითხის განხილვა მთლიანად ყველა ეკონომიური საკითხის გარჩევამდე. მაგრამ დღემდე მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ შეიტანა კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე".

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ ბევინი დაეთანხმა იმას, რომ საკონტროლო საბჭოს მითითება მიეცეს დააჩქაროს მუშაობა გერმანიის სამხედრო მრეწველობის ლიკვიდაციისათვის. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს ოკუპაციის ბრიტანულ ზონაში არსებული გერმანელთაგან და არაგერმანელი ეროვნების პირთაგან შემდგარი სამხედრო ტიპის იმ ფორმირებების საბოლოო დაშლის ზუსტი ვადის დადგენის შესაძლებლობა, რომლებსაც იგი „სამსახურებრივ ჯგუფებს" უწოდებს. ბევინმა აღიარა, რომ გერმანიის სამხედრო მრეწველობის ბედი დაკავშირებული არ არის გერმანიის ეკონომიური მთლიანობის საკითხთან. იგი დაეთანხმა მოლოტოვის წინადადებას იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ განაგრძოს გერმანიაში არსებული მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მოხსენების ძირითად კართა განხილვა. მარშალმა და ბიდომაც მიიღეს ეს წინადადება.

მაგრამ ვ. მ. მოლოტოვის იმ წინადადების გამო, რომ ოთხივე მთავრობამ წარმოადგინოს ცნობები სამხედრო ტყვე გერმანელების შესახებ, არცერთ მინისტრს არავითარი განცხადება არ გაუკეთებია. საკითხი გადაუჭრელი დარჩა. (საკდესი).

საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის განხილვა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირზე გერმანიის საკითხის გამო

12 მარტს დილით საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი გერმანიის საკითხის გამო შეუდგა საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის განხილვას.

მოადგილეთა ლონდონის თათბირის შედეგად მინისტრების საბჭოს წარუდგინა მოხსენება, სადაც ჩამოყალიბებულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა თვალსაზრისი იმ დოკუმენტის პირველი ნაწილის შესახებ, რომელმაც უნდა განსაზღვროს ეს პროცედურა. ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილენი შეთანხმდნენ, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებას შეადგენენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები. მოკავშირე მთავრობებთან კონსულტაციისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხებზე მათი ინფორმაციის შესახებ ერთიანი აზრის მიღწევა არ მოხერხდა.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოადგილეთა თათბირს დაავალეს განაგრძო ამ საკითხების განხილვა და მოემზადებინა სათანადო წინადადებანი.

12 მარტის სხდომაზე კუვ დე მიურვილმა (საფრანგეთი) წინადადება წამოაყენა განხილულ იქნას საზავო ხელშეკრულების მომზადებაში იმ მოკავშირე სახელმწიფოთა მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელნიც გერმანიის ოკუპაციაში არ მონაწილეობენ. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ, რომელიც პრინციპულად წინააღმდეგი არ არის ამ წინადადებისა, თავის მხრივ წამოაყენა წინადადება — თანდათანობით განხილულ იქნას საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხი. თათბირის მონაწილენი დაეთანხმნენ ამ მეთოდს.

პირველ რიგში გადასაწყვეტი იყო საკითხი თვით იმ დოკუმენტის ხასიათის შესახებ, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ უნდა მოამზადოს. პოტსდამის შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ მინისტრების საბჭო „გამოყენებული იქნება გერმანიისათვის სამშვიდობო მოწესრიგების მოსამზადებლად იმ ანგარიშით, რომ სათანადო დოკუმენტი მიიღოს ამ მიზნისათვის გამოსადეგმა გერმანიის მთავრობამ, როცა ასეთი მთავრობა შეიქმნება". პოტსდამის გადაწყვეტილებებიდან ცხადი იყო, რომ გერმანიის მომავალ მთავრობას, ყოველ შემთხვევაში საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდე, შესაძლებლობა ექნება გამოსთქვას თავისი შეხედულებანი ამ ხელშეკრულების პროექტის შესახებ. ამავე დროს კი, ლონდონის თათბირის დროს ამერიკის დელეგაციის წრეებში გამოსთქვამდნენ მოსაზრებას, რომ მომზადდეს არა საზავო ხელშეკრულება გერმანიისათვის, არამედ რაღაც „საერთაშორისო სტატუტი", რომელიც განსაზღვრავდა გერმანიისათვის სამშვიდობო მოწესრიგებას მისი ცენტრალური მთავრობის მონაწილეობის გარეშე.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ გამოთქმა „საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან" შეცვლილიყო ფორმულირებით „საზავო ხელშეკრულება გერმანიისათვის". საბჭოთა დელეგაცია ამის წინააღმდეგი იყო და სამართლიანად აღნიშნავდა, რომ გერმანიის მთავრობას მომავალ საზავო კონფერენციაზე შესაძლებლობა უნდა მიეცეს გამოსთქვას თავისი აზრი.

12 მარტის სხდომაზე ა. ი. ვიშინსკიმ დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ აქ საქმე ეხება არა ფილოლოგიურ დავას, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ სხვა დელეგატები, არა სიტყვიერ გამოთქმათა განსხვავებას, არამედ პრინციპულად სხვადასხვა დებულებებს. მან წამოაყენა საკ[illegible]—აღინიშნოს, რომ საზავო ხელშეკრულება უნდა დაიდოს ერთის მხრივ მოკავშირე და შეერთებულ სახელმწიფოებს და მეორე მხრივ გერმანიას **შორის.** სამშვიდობო მოწესრიგების სხვა ფორმა შეუძლებელია—მას შემდეგ, რაც ორივე მხარეს შორის ომის მდგომარეობა შესწყდა, მათ შორის საზავო ხელშეკრულება უნდა დაიდოს.

სტრენგმა (დიდი ბრიტანეთი) განაცხადა, რომ „ამჟამად არავის არ შეუძლია სთქვას, როდის შეიქმნება გერმანიის ცენტრალური მთავრობა". მან აღიარა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება ბოლოსდაბოლოს ხელმოწერილ უნდა იქნას. მაგრამ, სტრენგის აზრით, შესაძლოა მოგვიხდეს „სამშვიდობო მოწესრიგება დავაკისროთ გერმანიას" მანამდე, სანამ იქ ცენტრალური მთავრობა დაარსდება. მერფიმ (ამერიკის შეერთებული შტატები) თავის მხრივ სცადა უკან დაებრუნებინა მოადგილეთა თათბირი იმით, რომ წინადადება წამოაყენა—გამოთქმა „საზავო ხელშეკრულება" შეიცვალოს ტერმინით „სამშვიდობო მოწესრიგება".

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ, ცხადია, საზავო ხელშეკრულების მომზადებასა და მის ხელმოწერას შორის შეიძლება დიდი დრო გავიდეს. მაგრამ, პოტსდამის შეთანხმების ზუსტი და მკაფიო დებულებების მიხედვით, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო მოწოდებულია მოამზადოს სწორედ საზავო ხელშეკრულება და არა რაიმე სხვა დოკუმენტი. „იქნებ ჩვენ გვსურს ორ კურდღელს დავედევნოთ?—იკითხა მან.—მაგრამ მე მგონია დღემდე ვერავის მოუხერხებია ერთი სროლით ორი კურდღლის მოკვლა, თუ არ ვიანგარიშებთ ტარტარენ ტარასკონელს, რომელიც იკვეხნიდა, რომ შეეძლო ერთბაშად 30 ლომი მოეკლა".

ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მერფი (ამერიკის შეერთებული შტატები) დათანხმდა ხელი აიღოს ტერმინზე „საზავო ხელშეკრულება გერმანიისათვის" და შესცვალოს იგი გამოთქმით „გერმანიის საზავო ხელშეკრულება". ამ საკითხის განხილვას, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და შორს სცილდება პროცედურის ფარგლებს, რამდენადაც საქმე ეხება არსებითად იმას, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დაიდება თუ სამშვიდობო მოწესრიგება რაიმე სხვა ფორმით განხორციელდება, ორ საათზე მეტი დრო მოუნდა. ხელშეკრულების პროექტის მომზადების პროცედურის განხილვა შემდეგ სხდომაზე გაგრძელდება. (საკდესი).

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა სხდომა ავსტრიის საკითხზე

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა 12 მარტის სხდომა ავსტრიის საკითხზე მიეძღვნა ავსტრიასთან ხელშეკრულების სამხედრო მუხლების განხილვას. სხდომის თავმჯდომარემ გენერალმა კლარკმა (ამერიკის შეერთებული შტატები) განაცხადა, რომ ავსტრიის სახმელეთო შეიარაღებული ძალების რაოდენობის საკითხზე ორი თვალსაზრისი არსებობს. მოკლე დისკუსიის შემდეგ მინისტრების მოადგილეებმა გადასწყვიტეს ეს საკითხი ღიად დასტოვონ და გადავიდნენ იმ პუნქტის განხილვაზე, რომელიც ეხება ავსტრიის ტერიტორიაზე აეროდრომების რაოდენობას.

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავსტრიის შედარებით მცირე ტერიტორიაზე 54 სამხედრო აეროდრომი არსებობს, რომელთა უმრავლესობა აგებულია გერმანელების მიერ, მაშინ როცა 1938 წელს ავსტრიის ტერიტორიაზე 9 აეროდრომი იყო. ავსტრიაში არსებული სამხედრო აეროდრომების საერთო რაოდენობიდან განიარაღებულია მხოლოდ 18. სავსებით ცხადია, რომ 54 აეროდრომი ავსტრიისათვის საჭირო არ არის, ვინაიდან მას შეიძლება ნება დაერთოს იყოლიოს სულ ბევრი 90 სამხედრო თვითმფრინავი. მაშასადამე, სავსებით ლოგიკური იქნება შემცირდეს აეროდრომების რაოდენობაც და დატოვებულ იქნას მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭიროა სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამოქალაქო ავიაციისათვის.

როგორც გამოირკვა, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები სხვა თვალსაზრისს იცავენ: მათ არ სურთ შეტანილ იქნას ავსტრიასთან ხელშეკრულების პროექტში რაიმე დადგენილება ავსტრიაში სამხედრო აეროდრომების რაოდენობის შემცირების შესახებ და ამ საქმეში დიდ დაინტერესებას იჩენენ. მოადგილეები შეთანხმდნენ ავსტრიის ტერიტორიაზე არსებული აეროდრომების რაოდენობის საკითხი გადაეცეს სამხედრო ექსპერტებს. ბრიტანეთის წარმომადგენლის წინადადებით მოადგილენი შეთანხმდნენ აცნობონ მოკავშირეთა საბჭოს ვენაში, რომ ავსტრიაში სამხედრო აეროდრომების რაოდენობის საკითხის განხილვისას ისინი გააოცა ავსტრიაში ასეთი აეროდრომების სიმრავლემ.

სხდომაზე შემდეგ განხილულ იქნა საბჭოთა დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ ავსტრიის არმია შეიარაღებული იყოს მხოლოდ ავსტრიაში წარმოებული იარაღით. ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებმა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ავსტრიას უფლება ჰქონდეს თავისთვის საჭირო იარაღი შეიძინოს რა ქვეყანაშიც სურს. მოადგილეებმა ამ საკითხშიც ვერ მიაღწიეს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას.

ავსტრიასთან ხელშეკრულების ეკონომიური საკითხების ექსპერტთა კომიტეტის სხდომა

12 მარტს შესდგა ავსტრიასთან ხელშეკრულების პროექტის ეკონომიური მუხლების ექსპერტთა კომიტეტის სხდომა. ამ კომიტეტის ამოცანას წარმოადგენს მასალების მომზადება საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირისათვის ავსტრიის საკითხზე. სხდომა მიმდინარეობდა საბჭოთა წარმომადგენლის ვ. ს. გერაშჩენკოს თავმჯდომარეობით და მიეძღვნა აზრთა გაცვლა-გამოცვლას ავსტრიასთან ხელშეკრულების პროექტის ზოგიერთ მუხლზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ განხილულა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა სხდომაზე. (საკდესი).

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

14 მარტს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. დ. კალანდაძის კონსულტაცია ფილოსოფიაში.

14 მარტს, საღამოს 7 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომკავშირელებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: „ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"".

ლექციას წაიკითხავს დოცენტი ს. ხიმონგულოვი.

14 მარტს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის სხდომის დარბაზში (ბეთაგორიის ქ. № 2) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის XII პლენუმი.

ლექცია

14 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში (რიჟაძის ქ. № 6) შესდგება დოცენტ ვ. მელქაძის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის სახალხო შემოსავალი".

შესვლა თავისუფალია.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ტფილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00143